

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



თამარ ეგრისელაშვილი

წარმოების დანახარჯებისა და ფინანსური შედეგების
ურთიერთკავშირის ანალიზი შპს „ჯეოსთილის“ მაგალითზე

სამაგისტრო პროგრამა : ბიზნეს ადმინისტრირება

ნაშრომი შესრულებულია ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მერაბ ჯიქია

თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2020

ანოტაცია

წარმოების დანახარჯებისა და ფინანსური შედეგების ურთიერთკავშირის ანალიზი შპს „ჯეოსთილი“-ს მაგალითზე

მოცემულ ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია საწარმოს დანახარჯებისა და ფინანსური შედეგების ურთიერთკავშირი. ნაშრომი ორი თავისგან შედგება. პირველი თავი მთლიანად თეორიულ ნაწილს ეძღვნება, სადაც განსაზღვრულია დანახარჯების ცნება, მისი კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. განხილულია პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის მეთოდები და ძირითადი პრინციპები. ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია ერთი ლარის რელიზებულ პროდუქციაზე დანახარჯების ანალიზი.

მეორე თავი ეძღვნება საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის ფინანსური შედეგების ანალიზს. განსაზღვრულია ფინანსური შედეგების მაჩვენებელთა სისტემა და ანალიზის მეთოდიკა. საანალიზო საწარმოდ აღებულია ფოლადის მწარმოებელი კომპანია - შპს „ჯეოსთილი“. მისი ფინანსური ანგარიშგების მონაცემების მიხედვით ჩატარებულია სხვადასხვა გამოთვლები და მიღებული შედეგების საფუძველზე გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები. ნაჩვენებია ურთიერთკავშირი წარმოების მოცულობას, დანახარჯებსა და მოგებას შორის. საანალიზო პერიოდად 2016-2018 წლებია შერჩეული.

ჩატარებული კვლების შედეგების საფუძველზე გაცემულია სხვადასხვა ტიპის რეკომენდაცია.

The annotation

Analysis of the interaction of production expenses and financial results on the example of GeoSteel LLC

This work deals with interconnection of production costs and financial results. This work consists of two main parts. The first chapter is entirely devoted to the theoretical part. In this one the expenses of production are reviewed. Definitions of expenses are explained and categorized according to the different signs of classifications. Methods and basic principles of product cost calculation are discussed. In this part of the work an analysis of the cost of product and one lari realized products are discussed.

The second chapter is devoted to the analysis of the financial results of the efficiency of the enterprise's activities. The system of indicators of financial results and the method of analysis are defined. Steel manufacturing company - GeoSteel LLC has been taken over for analysis. According to the financial statements of the GeoSteel LLC, various calculations have been made and appropriate conclusions have been made based on the results obtained. The connection between the volume of production, production expenses and the profit of the company is explained. The analysis period is 2016-2018.

Based on the results of the research, various types of recommendations have been issued.

სარჩევი

შესავალი.....	5
თავი 1. წარმოების დანახარჯების ანალიზი.....	8
1.1 წარმოების დანახარჯების ცნება და მათი კლასიფიკაცია.....	8
1.2 პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის პრინციპები და მეთოდები.....	17
1.3 სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და ერთი ლარის რეალიზებულ პროდუქციაზე დანახარჯების ანალიზი.....	27
თავი 2. საქმიანობის ეფექტიანობის ფინანსური შედეგების ანალიზი.....	35
2.1 ფინანსური შედეგების მაჩვენებელთა სისტემა და ანალიზის მეთოდოლოგია.....	35
2.2 წარმოების მოცულობის, დანახარჯებისა და მოგების ურთიერთკავშირის ანალიზი	54
2.3 რენტაბელობის (მომგებიანობის) ანალიზი	59
დასკვნა	74
გამოყენებული ლიტერატურა.....	79
დანართი 1	81
დანართი 2	82
დანართი 3	83
დანართი 4	84
დანართი 5	85
დანართი 6	86
დანართი 7	87
დანართი 8	88
დანართი 9	89

შესავალი

თემის აქტუალობა. ნებისმიერი საწარმოს ფუნქციონირების მთავარ მიზანს მაქსიმალური მოგების მიღება წარმოადგენს. ყველაზე მარტივი განსაზღვრებით მოგება შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის დადებით სხვაობას გულისხმობს. შესაბამისად, დანახარჯების მოცულობა, სტრუქტურა და თავისებურებები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკური საქმიანობის საბოლოო შედეგებს. წარმოების პროცესში გამოსაყენებელი რესურსები შეზღუდული და ამოწურვადია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ხდება დანახარჯების სწორად დაგეგმვა სასურველი ფინანსურ-ეკონომიკური შედეგების მისაღებად. წარმოების ეფექტიანობისთვის მინიმალურმა დანახარჯებმა მაქსიმალურად დიდი შემოსავლები უნდა მოიტანოს. ეს მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენებით მიიღწევა. წარმოების დანახარჯების სრულყოფილად აღრიცხვისა და კალკულაციისთვის მნიშვნელოვანია მათი სხვადასხვა ნიშნით დაჯგუფება მმართველობითი მიზნებიდან და საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარე.

კვლევის მიზანი და ამოცანები. ნაშრომის მიზანია წარმოების დანახარჯებსა და საწარმოს საბოლოო ფინანსურ შედეგებს შორის ურთიერთკავშირის დადგენა და ანალიზი.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დასახულია შემდეგი ამოცანების შესრულება: წარმოების დანახარჯების ცნების განსაზღვრა, მისი კლასიფიკაციის შესწავლა, პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდებისა და პრინციპების შესწავლა. აგრეთვე, ერთი ლარის რეალიზებულ პროდუქციაზე დანახარჯების ანალიზი, საანალიზო საწარმოს ფინანსური მაჩვენებლების დინამიკაში შესწავლა და მათ საფუძველზე სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტის გაანგარიშება.

კვლევის საგანი და ობიექტი. წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანია საწარმოს წარმოების დანახარჯებისა და საბოლოო ფინანსური შედეგების ურთიერთკავშირის ანალიზის საკითხები.

ნაშრომში თავდაპირველად განსაზღვრული იქნება დანახარჯების ცნება, მისი კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, პროდუქციის თვითღირებულების

კალკულაციის მეთოდები და პრინციპები. განხილული იქნება საანალიზო საწარმოს ფინანსური შედეგები და რენტაბელობის მაჩვენებლები. განისაზღვრება და გაანალიზდება ურთიერთდამოკიდებულება წარმოების მოცულობას, დანახარჯებსა და მოგების სიდიდეს შორის.

კვლევის ობიექტად შერჩეულია შპს „ჯეოსთილი“. შპს „ჯეოსთილი“ 2006 წლის 25 მაისს დაარსდა. კომპანია თავის ეკონომიკურ საქმიანობას ქალაქ რუსთავში ახორციელებს. შპს „ჯეოსთილი“ აწარმოებს შემდეგი სახის პროდუქციას:

- **სამშენებლო არმატურა**, რომელიც იწარმოება თერმო-მექანიკური მეთოდით;
- **ფოლადის ნამზადი** (მზადდება შავი ლითონის ჯართისგან)

2009 წლიდან შპს „ჯეოსთილი“ ერთ-ერთი უმსხვილესი ფოლადის მწარმოებელი კომპანიაა საქართველოს ბაზარზე. კომპანიის საწარმოო სიმძლავრე 200 ათასი ტონა ფოლადის ნამზადის 175 ათასი ტონა არმატურის წარმოების საშუალებას იძლევა.

კომპანიის მფლობელები არიან:

- * 51% - Georgian Steel Group Holdings Limited
- * 49% - JSW Steel (ჰოლანდია)

შპს „ჯეოსთილი“-ს მიერ წარმოებული არმატურის ძირითადი ბაზრებია საქართველო, აზერბაიჯანი, თურქეთი და თურქმენეთი.

კვლევის მეთოდიკა. საწარმოს დანახარჯებისა და ფინანსური შედეგების ურთიერთკავშირის ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა ეკონომიკური და ფინანსური ანალიზის მეთოდები.

საინფორმაციო რესურსები. კვლევისთვის საჭირო საინფორმაციო რესურსებს სხვადასხვა ინტერნეტ წყაროები და თსუ - ს ბიბლიოთეკა წარმოადგენს.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა. ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ნებისმიერი იურიდიული პირისთვის მნიშვნელოვანია იმის შესწავლა თუ რა კავშირია ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში გაწეულ დანახარჯებსა და საქმიანობის საბოლოო შედეგებს შორის. მოცემულ კვლევაში ჩატარებული ანალიზის

მეთოდისა და მიდგომები რელევანტურია საანალიზო საწარმოს საქმიანობის მსგავსი პროფილის მქონდე ნებისმიერი საწარმოსთვის. განხილული ფინანსური კოეფიციენტები და მისი დინამიკური ანალიზი საწარმოს ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს გონივრულად და დასაბუთებულად შეაფასოს საქმიანობის შედეგები, საწარმოს ძლიერი და სუსტი მხარეები, წარმოების პროცესი უფრო ეფექტანად გაგეგმოს და ფინანსური შედეგები გააუმჯობესოს. ამრიგად, წინამდებარე კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა საკმაოდ დიდია.

თავი 1. წარმოების დანახარჯების ანალიზი

1.1 წარმოების დანახარჯების ცნება და მათი კლასიფიკაცია

ნებისმიერი საწარმოსთვის უმნიშვნელოვანესია რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება, რათა მიღწეულ იქნას მიზნობრივი ფინანსურ-ეკონომიკური შედეგები. წარმოების პროცესი მრავალი სახის რესურსის გამოყენებას გულისხმობს. საწარმოო რესურსების ეკონომიისა და უკუგების მაქსიმიზაციისთვის მნიშვნელოვანია დანახარჯების ეფექტურად მართვა.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ხარჯები განისაზღვრება, როგორც “საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არ არის მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.”¹

საწარმოს ყველა ხარჯი არ წარმოადგენს დანახარჯს. გასავალი დანახარჯად რომ აღიარდეს, მან შემდეგი კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს:²

1. განაწილების კრიტერიუმი - ხარჯსა და წარმოებულ პროდუქციას (გაწეულ მომსახურებას) შორის კავშირის არსებობა;
2. გაზომვადობის კრიტერიუმი - ფულად ერთეულში გაზომვის შესაძლებლობა;
3. მოთხოვნის კრიტერიუმი - მისი არსებობის აუცილებლობა (გარდაუვალობა) გონივრულ საზღვრებში.

ერთდროულად სამივე კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაწეული ხარჯი წარმოადგენს საწარმოს დანახარჯს.

მართებული გადაწყვეტილების მისაღებად საწარმოს ხელმძღვანელობას ესაჭიროება იმის ცოდნა, თუ რა მიმართულებით და რა მიზნისთვის გაიწევა ხარჯები.

დანახარჯის მიზანი, ანუ ობიექტი, არის ნებისმიერი საქმიანობა, რომლის მიხედვითაც დანახარჯები განცალკევებულად გამოიანგარიშება. მაგალითად,

¹ ფინანსური ანგარიგების კონცეპტუალური საფუძვლები, 2010, გვ 25, პუნქტი 4.25 - ბ

² ლობჯანიძე, ლ. 2007, მოგვიტანს ბიზნესი მოგებას?, თბილისი: ლამპარი, გვ. 12

პროდუქტის ან მომსახურების დანახარჯი, კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებული დანახარჯი, განყოფილების მართვის დანახარჯი.

დანახარჯთა ერთეული არის პროდუქციისა და მომსახურების ის უმცირესი რაოდენობრივი ერთეული, რომლისთვისაც შესაძლებელია დანახარჯის განსაზღვრა. ასეთი ერთეულებია: კილოგრამი, ტონა, ცალი, მეტრი, საწოლ/დღე, ოთახი სასტუმროში, მწოლიარე ავადმყოფი(საავადმყოფოში) და ა.შ.

დანახარჯთა ცენტრი არის საწარმოს განყოფილება, ფუნქცია ან საქმიანობა, რომლისთვისაც განისაზღვრება და აღირიცხება დანახარჯები. მაგალითად, განყოფილება, პროექტი. დანახარჯების სწორად დაგეგმვისა და კონტროლისათვის მნიშვნელოვანია დანახარჯთა თითოეული ცენტრისთვის დადგინდეს დანახარჯები და განისაზღვროს დამოკიდებულება დანახარჯთა ცენტრებსა და დანახარჯთა ერთეულებს შორის. ეს მმართველ რგოლს შესაძლებლობას აძლევს სწორად შეაფასოს ცალკეული ქვეგანყოფილებების სამეურნეო საქმიანობის შედეგები და მუშაობის ეფექტიანობა.

დანახარჯთა კლასიფიკაცია ნიშნავს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ერთგვაროვანი ხარჯების ლოგიკურ დაჯგუფებას. ამგვარი დაჯგუფება, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება ხელმძღვანელობისათვის დახმარების გაწევას, სწორი და რაციონალურად დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დასახული მიზნებიდან გამომდინარე დანახარჯების კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვაგვარად მოხდეს.

პრაქტიკული გამოცდილებით მიზანშეწონილია დანახარჯების კლასიფიკაცია შემდეგი ნიშნების მიხედვით:

ხარჯის მიმართულების მიხედვით არსებობს **შემავალი** და **გამავალი ხარჯები**. შემავალი ხარჯები დაკავშირებულია მასალების შეძენა - მომარაგებასთან, ხოლო გამავალი ხარჯები აღნიშნული რესურსების გადამუშავებასა და მზა პროდუქციად გარდაქმნასთან. გამავალ ხარჯებს სხვაგვარად ამოწურულ ხარჯებსაც უწოდებენ.

მაგალითისთვის, თუ X საწარმომ ერთ საანგარიშო პერიოდში შეიძინა 20 000 ლარის ღირებულების ნედნეული და იმავე საანგარიშო პერიოდში 15 000 ლარის ნედლეული გახარჯა მზა პროდუქციის საწარმოებლად, შემავალი ხარჯი იქნება 20 000 ლარი, ხოლო გამავალი, ანუ მზა პროდუქციაში „განივთებული“ ხარჯი - 15 000 ლარი.

საქმიანობის სფეროს მიხედვით დანახარჯების კლასიფიკაცია გულისხმობს მათ დაჯგუფებას საქმიანობის ტიპის მიხედვით. ამ შემთხვევაში საყურადღებოა ხარჯების გაწევა მოხდა ძირითად თუ დამხმარე საქმიანობაზე.

საქმიანობის სფეროს მიხედვით არსებობს:

1. საოპერაციო დანახარჯები;
2. არასაოპერაციო დანახარჯები;
3. განსაკუთრებული დანახარჯები.

საოპერაციო დანახარჯები საწარმოს ძირითად, ანუ მაპროფილებელ საქმიანობაზე გაწეული მატერიალური, შრომითი, კომერციული და საერთო ადმინისტრაციული დანახარჯებია. მას მიეკუთვნება პირდაპირი შრომითი და მასალის ხარჯები, საწარმოო ზედნადები, მარკეტინგული და სხვა საერთო ხარჯები.

არასაოპერაციო დანახარჯები მოცემული საწარმოსთვის დამხმარე ხასიათის საქმიანობაზე გაწეული დანახარჯებია. ხარჯი კლასიფიცირდება საოპერაციოდ თუ არასაოპერაციოდ, დამოკიდებულია იურიდიული პირის საქმიანობის სფეროს თავისებურებებზე. მაგალითად, საწარმოსათვის სესხზე გადახდილი პროცენტები წარმოადგენს არასაოპერაციო დანახარჯს, მაშინ, როდესაც, ანალოგიური ხარჯი ფინანსური ინსტიტუტისთვის საოპერაციოა, ვინაიდან ის მის ძირითად საქმიანობას უკავშირდება.

განსაკუთრებული ხარჯები ჩვეულებრივი საქმიანობისგან განსხვავებულ სამეურნეო მოვლენებთან და ოპერაციებთან არის დაკავშირებული. ამ ტიპის მოვლენები რეგულარულობით არ ხასიათდება და, როგორც წესი, შემთხვევითობითაა გამოწვეული.

ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ხარჯების დაყოფა ხდება ძირითად და ზედნადებ ხარჯებად.

ძირითად ხარჯებს ძირითადი მასალისა და ძირითადი შრომის ხარჯები წარმოადგენს. ის პროდუქციის წარმოებისა და მომსახურების გაწევის პროცესში უშუალოდ მონაწილეობს.

ზედნადები ხარჯები საწარმოო პროცესების მართვასა და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯებია.

არსებობს ორი ტიპის ზედნადები ხარჯი:

1. საწარმოო ზედნადები ხარჯები;
2. არასაწარმოო ზედნადები ხარჯები.

საწარმოო ზედნადები ხარჯები უშუალოდ პროდუქციის ერთეულის წარმოების პროცესის მომსახურებისა და მართვის მიზნით გაიწევა.

არასაწარმოო ზედნადები ხარჯი უშუალოდ არ არის დაკავშირებული პროდუქციის წარმოების პროცესთან. ის საერთო მმართველობითი ხასიათის ხარჯია.

დანახარჯები, გაწევის მიზნობრიობიდან გამომდინარე, **ფუნქციური დამიშნულების მიხედვით** ჯგუფდება.

ფუნქციური დამიშნულების მიხედვით არსებობს:

1. საწარმოო ხარჯი:

- » პირდაპირი მასალა;
- » პირდაპირი შრომა;
- » პირდაპირი გასავლები;
- » ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები;
- » მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები.

საწარმოო ხარჯები ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის პროცესთან დაკავშირებული დანახარჯებია.

2. არასაწარმოო ხარჯი:

- » ადმინისტრაციული დანახარჯები;
- » რეალიზაციის დანახარჯები;
- » კომერციული დანახარჯები;
- » ფინანსური დანახარჯები.

ამ ტიპის ხარჯები წარმოების პროცესთან უშუალოდ დაკავშირებული დანახარჯები არ არის.

პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს იმ დანახარჯებს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება პროდუქციის ერთეულის წარმოებას. განმარტებიდან გამომდინარე,

ცხადია, ყველა ტიპის ხარჯი არ მონაწილეობს მზა პროდუქციისა თუ დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულების განსაზღვრის პროცესში. შესაბამისად, პროდუქციის თვითღირებულებასთან მიმართებით გამოიყოფა ორგვარი ხარჯი:

1. ხარჯები, რომელიც პროდუქციის თვითღირებულებაში შეიტანება. მას, მეორენაირად, პროდუქტის ხარჯები ეწოდება.

პროდუქტის ხარჯებია: ✓ ძირითადი მასალის ხარჯი;

✓ ძირითადი შრომის ხარჯი;

✓ საწარმოო ზედნადები ხარჯი.

მოგება-ზარალის ანგარიშგების შედგენისას მხოლოდ ეს ხარჯები უნდა იყოს გათვალისწინებული.

2. ხარჯები, რომელიც უშუალოდ არაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან და მისი თვითღირებულების განსაზღვრაში არ მონაწილეობს. ასეთი ხარჯები პერიოდის ხარჯებია.

თვითღირებულებაზე მიკუთვნების წესის მიხედვით არსებობს პირდაპირი და ირიბი ხარჯები. პირდაპირია ისეთი ხარჯები, რომელიც ცალსახად მიეკუთვნება კონკრეტულ ერთეულს ან დანახარჯთა ცენტრს.

- ასეთი ხარჯებია:
- პირდაპირი მასალის ხარჯი;
 - პირდაპირი შრომითი ხარჯი;
 - სხვა პირდაპირი გასავლები

პირდაპირისგან განსხვავებით, არაპირდაპირი, ანუ ირიბი ხარჯი მონაწილეობს ერთდროულად რამდენიმე პროდუქციის წარმოების პროცესში იღებს და, შესაბამისად, მისი პირდაპირი მიკუთვნება კონკრეტულ დანახარჯთა ერთეულთან ან დანახარჯთა ცენტრთან არ ხდება. არაპირდაპირი დანახარჯები თვითღირებულებაში განაწილების გზით შეიტანება.


- ასეთი ხარჯებია :
- არაპირდაპირი მასალის ხარჯი;
 - არაპირდაპირი შრომითი ხარჯი;
 - სხვა არაპირდაპირი გასავლები

წარმოების მოცულობაზე დამოკიდებულების მიხედვით არსებობს ცვლადი და მუდმივი ხარჯები.

ხარჯს, რომელიც იცვლება წარმოებული პროდუქციის ერთეულთა რაოდენობის ცვლილების პირდაპირპროპორციულად, ცვლადი ხარჯი ეწოდება. მაგალითად, ნედნეული, მასალები, საწარმოს პერსონალის შრომის ანაზღაურება. თუ იცვლება საქმიანობის დონე, იმავე დონეზე და იმავე მიმართულებით იცვლება მთლიანი ცვლადი დანახარჯი. მისი სიდიდე ერთეულზე გაანგარიშებისას, მუდმივია.


ხარჯი, რომელიც დამოუკიდებელია წარმოების მოცულობისგან და მისი სიდიდე მოცემული პერიოდისთვის უცვლელია, მუდმივი ხარჯი ეწოდება. მაგალითად, ქონების გადასახადი. წარმოების დონის ზრდასთან ერთად ერთ ერთეულზე გაანგარიშებული მუდმივი დანახარჯი მცირდება.

ცვლად დანახარჯებსა და წარმოების მოცულობას შორის დამოკიდებულება გრაფიკულად შემდეგნაირად გამოისახება(ნახ.1.1):



ნახ. 1.1 მთლიანი ცვლადი დანახარჯისა და ერთეულის ცვლადი ხარჯის საქმიანობის დონეზე დამოკიდებულების გრაფიკები

მუდმივი დანახარჯებისა და წარმოებული პროდუქციის რაოდენობას შორის დამოკიდებულებას გრაფიკულად ამგვარი სახე აქვს(ნახ.1.2)



ნახ. 1.2 მთლიანი მუდმივი დანახარჯებისა და ერთეულის მუდმივი დანახარჯების საქმიანობის დონეზე დამოკიდებულების გრაფიკები

პროდუქციის თვითღირებულების ანალიზისა და წარმოების დაგეგმვისთვის მნიშვნელოვანია მუდმივი და ცვლადი ხარჯების გამოიყენება.

გარდა ცვლადი და მუდმივი ხარჯებისა, არსებობს ისეთი ხარჯებიც, რომელიც ორივე ტიპის ხარჯს მოიცავს. ასეთ ხარჯებს ნახევრადცვლადი ან ნახევრადმუდმივი ხარჯები ეწოდება. მის სიდიდეზე საქმიანობის დონე მხოლოდ ნაწილობრივ ახდენს გავლენას.

არსებობს, ასევე, საფეხურებრივად ცვლადი ხარჯები. ის წარმოების გარკვეულ დიაპაზონში მუდმივია, ხოლო, როდესაც საქმიანობის დონე დიაპაზონის ზედა ზღვარს მიაღწევს, წარმოების შემდგომ გაფართოებას ამ ხარჯის ზრდა მოყვება, რომელიც კვლავ მუდმივი იქნება წარმოების გარკვეულ დონემდე. ამ ტიპის დანახარჯების ცვლა ნახტომისებურად ხდება.

გადაწყვეტილების მიღებაზე დამოკიდებულების მიხედვით არსებობს რელევანტური და არარელევანტური (ირელევანტური) ხარჯები.

ხარჯი, რომელიც გადაწყვეტილებების სხვადასხვა ალტერნატივის დროს განსხვავებულია და, შესაბამისად, მისი სიდიდე მენეჯერთა ქცევით განისაზღვრება, რელევანტური ხარჯია.

რელევანტური ხარჯის ძირითადი მახასიათებლებია³:

- ◊ მომავლის დანახარჯია;
- ◊ ფულადი სახსრების ნაკადია;
- ◊ ზრდადი დანახარჯია

მისგან განსხვავებით, არარელევანტური ხარჯის სიდიდე გადაწყვეტილების მიღების შედეგად არ იცვლება. მას მიეკუთვნება:

- შეუქცევადი დანახარჯები - წარსულში გაწეული დანახარჯი. მაგალითად, მიზნობრივი ბაზრის კონიუნქტურის კვლევის ხარჯი;
- გარდაუვალი დანახარჯები - ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, ამ ხარჯის გაწევა მაინც მოუწევს საწარმოს. ის მომავლის ხარჯია;
- არაფულადი ხარჯები - მაგალითად, ცვეთის ხარჯი;
- საერთო მუდმივი ზედნადები ხარჯები - ამ ტიპის ხარჯი, როგორც წესი, არარელევანტურია. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ნახტომისებურად ცვლადი ხარჯის სიდიდე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების შედეგად, შესაძლოა, შეიცვალოს. ამ შემთხვევასი ის რელევანტური ხარჯი იქნება.
- წმინდა საბალანსო ღირებულება - ცვეთის მსგავსად, მისი განსაზღვრა სააღრიცხვო კონვენციებით ხდება.

სხვადასხვა ალტერნატივიდან ის პროექტი უნდა განხორციელდეს, რომლის რელევანტური ხარჯებიც ნაკლებია.

პასუხისმგებლობის ცენტრის მიხედვით არსებობს რეგულირებადი და არარეგულირებადი დანახარჯები.

მოცემულ დროში განყოფილების მენეჯერს შეუძლია რეგულირებადი დანახარჯის კონტროლი. არარეგულირებად დანახარჯს ვერ აკონტროლებს მოცემული

³ ACCA წიგნი F2, 2007/8. მმართველობითი აღრიცხვა, გვ.190

განყოფილება. ამ ტიპის ხარჯი სხვა განყოფილებისთვის რეგულირებადი ხარჯია და, შესაბამისად, იმ სხვა განყოფილების მიერ კონტროლდება.

დანახარჯების ამგვარი დაჯგუფებით შეიძლება ცალკეული მენეჯერების მუშაობის ეფექტიანობის შეფასება. თითოეული მენეჯერი იმ დანახარჯების მაჩვენებელზეა პასუხისმგებელი, რომლის რეგულირებაც მას შეუძლია. რეგულირებადი დანახარჯების ფაქტობრივი მაჩვენებლების გეგმურისგან გადახრის დეტალური შესწავლა და ანალიზი მნიშვნელოვანია.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები *დარიცხვის* პრინციპს ბუღალტრული აღრიცხვის ძირითად მეთოდად აღიარებს. ეს მეთოდი გულისხმობს შემოსავლებისა და ხარჯების აღიარებას მათი წარმოქმნის მომენტის მიხედვით, და მნიშვნელობა არ აქვს როდის ხდება თანხის ფაქტობრივი მიღება ან/და გადახდა.

დარიცხვის მეთოდის პრინციპზე დაყრდნობით, **პერიოდიზაციის მიხედვით** გამოიყოფა **მიმდინარე** და **მომავალი** პერიოდის ხარჯები.

მიმდინარე პერიოდის დანახარჯები დაკავშირებულია მიმდინარე პერიოდში წარმოებულ პროდუქციასთან. ის ჩამოიწერება მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან და გაითვალისწინება პროდუქციის თვითღირებულის განსაზღვრისას. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს ხარჯთან დაკავშირებული ფულადი სახსრები საწარმოდან როდის გავა. მაგალითად, პირდაპირი შრომითი ხარჯი მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარდება და პროდუქციის თვითღირებულებაში ჩაირთვება, თუნდაც რეალურად არ მოხდეს ხელფასების გაცემა.

მომავალი პერიოდის ხარჯი იმ ტიპის ხარჯია, რომლის ფაქტობრივი გაწევა მიმდინარე პერიოდში მოხდა, მაგრამ დაკავშირებულია მომავალში გამოსაშვებ პროდუქციასთან ან გასაწევ მომსახურებასთან. ასეთი საავანსოდ გაწეული ხარჯი ჩაირთვება მომავალში გამოშვებული საქონლის (გაწეული მომსახურების) თვითღირებულებაში. მაგალითად, საწარმო თუ წინასწარ გადაიხდის დაზღვის მთელი წლის დაზღვევის თანხას, მიმდინარე თვეში წარმოებული საქონლის თვითღირებულებაში დაზღვევის მხოლოდ ერთი თვის პროპორციული თანხა გაითვალისწინება.

1.2 პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის პრინციპები და მეთოდები

პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენს ფულად ერთეულში გამოსახულ ყველა იმ მიმდინარე ხარჯის ერთობლიობას, რომელიც საწარმომ გაწია პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მიზნით.

თვითღირებულების მაჩვენებლით გამოიხატება მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების ხარისხი. მმართველობით აღრიცხვაში მისი ფორმირების მიზანია ის, რომ ხელმძღვანელობამ დანახარჯთა სრული სურათი დაინახოს. პროდუქციის თვითღირებულების ანალიზი და მისი დინამიკის შესწავლა საწარმოს მენეჯერებს საშუალებას აძლევს მოახდინონ სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი და ცალკეული დანახარჯების რაციონალურობის შეფასება, გამოავლინონ დანახარჯთა შემცირების რეზერვები და შეძლონ მომგებიანი ტექნიკური თუ ეკონომიკური ღონისძიებების გატარება.

ამრიგად, პროდუქციის თვითღირებულების ანალიზი შემდეგ ძირითად ამოცანებს ემსახურება: თვითღირებულების მიზნობრივი მაჩვენებლების რეალურობის შემოწმება; ფაქტობრივ და გეგმურ სიდიდეებს შორის გადახრების დადგენა და ანალიზი; წარმოება-რეალიზაციის ხარჯების შესამცირებელი რეზერვების გამოვლენა.

აღნიშნული ამოცანებიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სამეწარმეო საქმიანობაში პროდუქციის თვითღირებულების ანალიზს.

პროდუქციის თვითღირებულების გამოთვლის მიზნით მასში შემავალი ხარჯები ფუნქციური დანიშნულებით უნდა დაჯგუფდეს. ამგვარად დაჯგუფებული ხარჯებია: პირდაპირი მასალის ხარჯი, პირდაპირი შრომითი ხარჯი და საწარმოო ზედნადები ხარჯები, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს პროდუქციის წარმოებასთან ირიბად დაკავშირებულ მასალის, შრომით და სხვა არაპირდაპირ ხარჯებს.

კალკულაციაში გასათვალისწინებელი დანახარჯების დონის მიხედვით გამოიყოფა სამი სახის თვითღირებულება. კერძოდ,

1. ძირითადი
2. საწარმოო და

3. სრული თვითღირებულება

ძირითადი თვითღირებულების განსაზღვრაში მონაწილეობას მხოლოდ პირდაპირი ხარჯები იღებს. საწარმოო თვითღირებულებაში პირდაპირთან ერთად საწარმოო ზედნადები ხარჯებიც გაითვალისწინება. რაც შეეხება სრულ თვითღირებულებას, ის ფორმირდება ყველა პირდაპირი და განაწილების გზით მიკუთვნებული ზედნადები ხარჯისგან და, ასევე, მარკეტინგული და საერთო ადმინისტრაციული ხარჯების ერთობლიობისგან.

ფასწარმოქმნის მიზნებისთვის პროდუქციის სრული თვითღირებულების მაჩვენებელი გამოიყენება. სწორედ მის საფუძველზე განისაზღვრება საორიენტაციო ფასი და მიზნობრივი მოგება.

თვითღირებულების კალკულაციის მეთოდში იგულისხმება იმ წესებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ერთეულ პროდუქციაზე მისაკუთვნებელი ხარჯები. თვითღირებულებაში გასათვალისწინებელი ხარჯის სახეები დამოკიდებულია საწარმოს ორგანიზაციულ და ტექნოლოგიურ თავისებურებებზე.

თვითღირებულების კალკულაციის მეთოდებია:

- **კალკულაცია კონკრეტული (განსაკუთრებული) დანიშნულების მიხედვით.** თვითღირებულების გამოთვლა ამ მეთოდით იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა წარმოების ციკლი არ არის უწყვეტი. მას მიეკუთვნება:

კალკულაცია შეკვეთების მიხედვით - იყენებენ მაშინ, როდესაც საწარმო მოკლევადიან შეკვეთებს ასრულებს. ცალკეული შეკვეთის ფასი ინდივიდუალურად განისაზღვრება.

კალკულაცია კონტრაქტების მიხედვით - ძირითადად სამშენებლო კომპანიებსა და საინჟინრო ბიზნესში გამოიყენება. მათი საქმიანობა გრძელვადიანი კონტრაქტების დადებასთანაა დაკავშირებული. თითოეული ასეთი კონტრაქტი დანახარჯთა ცალკეულ ერთეულს წარმოადგენს. კონტროლის გაუმჯობესებისა და აღრიცხვის გამარტივებისთვის, უმჯობესია მოხდეს ძირითადი კონტრაქტების ქვეკონტრაქტებად დაყოფა.


კალკულაცია პროდუქციის პარტიების მიხედვით - ეს მეთოდი გამოიყენება მრავალი იდენტური (ერთგვაროვანი) პროდუქციის პარტიებად წარმოებისას. მაგალითად, საყოფაცხოვრებო და პირადი მოხმარების საგნების წარმოება. თითოეულ პარტიაში იდენტური ერთეულებია გაერთიანებული, თუმცა ცალკეული პარტიები ერთმანეთისგან განსხვავებულია. კალკულაციის ერთეულს ნაკეთობათა პარტიები წარმოადგენს. ცალკეულ პარტიებში შემავალი პროდუქციის თვითღირებულების დასათვლელად, პარტიის წარმოებაზე გაწეული დანახარჯები ამავე პარტიაში შემავალი პროდუქციის მთლიან რაოდენობაზე უნდა გაიყოს.

ერთი პარტიის ხარჯი

პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება = _____

პროდუქციის რაოდენობა პარტიაში

- **დანახარჯთა კალკულაცია პროცესების მიხედვით** - გამოიყენება მაშინ, როდესაც მასობრივად იწარმოება იდენტური საქონელი და პროდუქციის წარმოება რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული პროცესის განხორციელებას გულისხმობს. წინა პროცესის საბოლოო შედეგი, მომდევნო პროცესის მასალის ხარჯს წარმოადგენს.



ამასთან, ერთი პერიოდის ბოლოს დაუმთავრებელი პროდუქციის ნაშთი, შემდეგი პერიოდის დაუმთავრებელი პროდუქციის საწყისი ნაშთია. დანახარჯთა აღრიცხვის მიზნით, ცალკეული პროცესისთვის სხვადასხვა ანგარიში იხსნება. წარმოებული საბოლოო პროდუქციის ერთი ერთეულის თვითღირებულება ბოლო და ბოლოს წინა პროცესის დანახარჯთა ჯამის ტოლია.

საილუსტრაციო მაგალითი 1.

იანვრის თვეში საწარმო იწყებს საქმიანობას და პროდუქციის 5 000 ერთეულის წარმოებას გეგმავს. თვის ბოლოს მზა პროდუქციის რაოდენობამ 4 500 ერთეული შეადგინა, ხოლო დაუმთავრებელმა, შესაბამიდად, 500 ერთეული. დაუმთავრებელი პროდუქციის დასრულების ხარისხი 25%-ია. იანვრის თვის საწარმოო დანახარჯების მთლიანმა ოდენობამ 25 700 ლარი შეადგინა. განვსაზღვროთ მზა და დაუმთავრებელი პროდუქციის თვითღირებულება.

ამოხსნა:

	ერთეულები	დამთავრების ხარისხი	ექვივალენტური ერთეულები
დაწყებული და	4 500	100%	4 500
დამთავრებული			
დაუმთავრებელი			
პროდუქცია	500	25%	125
			4 625

ექვივალენტური ერთეულის თვითღირებულება: $25\ 700 / 4\ 625 = 5,557$ (ლარი)

მზა პროდუქციის თვითღირებულება : $4\ 500 * 5,557 = 25\ 006$

დაუმთავრებელი პროდუქციის თვითღირებულება: $125 \text{ ექვ.ერთ} * 5,557 = 694$

სულ პერიოდის ხარჯი : $25\ 006 + 694 = 25\ 700$

განხილულ მაგალითში ნაგულისხმებია, რომ ყველა სახის რესურსი წარმოებაში ერთდროულადაა ჩაშვებული. შესაბამისად, დაუმთავრებელი პროდუქციის დამთავრების ხარისხი მთლიანობაში შეფასდა.

ხშირ შემთხვევაში ეს ასე არ ხდება და პერიოდის ბოლოს დაუმთავრებელი პროდუქციის დამთავრების ხარისხი სხვადასხვა საწარმოო რესურსის მიხედვით განსხვავებულია. ასე, მაგალითად, თუ წარმოების დასაწყისშივე მოხდა ყველა მასალის

ჩაშვება, ხოლო გადამუშავების დანახარჯები ეტაპობრივად გაიწევა, პერიოდის ბოლოს დარჩენილი დაუმთავრებელი პროდუქცია მასალის მიხედვით სრულად, ხოლო შრომისა და საწარმოო ზედნადები ხარჯების მიხედვით ნაწილობრივ იქნება დასრულებული.

საილუსტრაციო მაგალითი 2.

დავუშვათ, თვის ბოლოს დაუმთავრებელი დარჩა 300 ცალი პროდუქტი, რომელიც მასალის მიხედვით 70%-ით, ხოლო შრომის მიხედვით 45%-ითაა დასრულებული. დაუმთავრებელი პროდუქტი გადავიყვანოთ მზა პროდუქციის ექვივალენტურ ერთეულებში.

ამ შემთხვევაში დაუმთავრებელი პროდუქციის გადაყვანა მზა პროდუქციის ექვივალენტურ ერთეულებში მასალისა და შრომის მიხედვით ცალ-ცალკე უნდა მოხდეს.

ექვივალენტური ერთეულები		
მასალის მიხედვით	[300*70%]	210
შრომის მიხედვით	[300*45%]	135

განხილულ ორივე მაგალითში დაუმთავრებელი პროდუქტის ნაშთი მხოლოდ პერიოდის ბოლოსაა. რეალურ წარმოებაში არსებობს დაუმთავრებელი პროდუქციის როგორც საწყისი, ისე საბოლოო ნაშთები. ამ შემთხვევაში თვითღირებულების კალკულაციის მექანიზმი, რა თქმა უნდა, გართულებულია.

პროცესულ წარმოებაში მზა და დაუმთავრებელი პროდუქციის თვითღირებულების გამოთვლის ორი მეთოდი არსებობს. ეს მეთოდებია: საშუალო შეწონილი თვითღირებულების მეთოდი და FIFO მეთოდი.

საშუალო შეწონილი თვითღირებულების მეთოდით რომ შეფასდეს მზა და დაუმთავრებელი პროდუქციის თვითღირებულება, დაუმთავრებელ პროდუქციაზე გაწეული დანახარჯები მასალისა და შრომის მიხედვით უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. ასევე, უნდა შეფასდეს დაუმთავრებელი პროდუქციის დამთავრების ხარისხი მასალისა და გადამუშავების მიხედვით ცალ-ცალკე. ამ ყოველივესთვის საჭიროა შემდეგი საფეხურების გავლა:

1. პროდუქციის ფიზიკური ერთეულების დათვლა. ფიზიკური რაოდენობის ბალანსი უნდა შედგეს, რაც შემდეგი ტოლობით გამოიხატება:

დაუმთავრებელი პროდუქციის საწყისი ნაშთი

+

მიმდინარე თვეში დაწყებული პროდუქციის რაოდენობა

=

მზა პროდუქცია თვის ბოლოს

+

დაუმთავრებელი პროდუქციის ნაშთი თვის ბოლოს

2. ექვივალენტური ერთეულების დათვლა. წარმოების ერთეულებზე პროცესის დანახარჯების მიკუთვნება ექვივალენტური ერთეულის საფუძველზე ხდება. თვის ბოლოს დაუმთავრებელი პროდუქციის რაოდენობა გადაიყვანება პირობით მზა პროდუქციის ერთეულებში.

ექვივალენტური ერთეული = დაუსრულებელი ერთეული * დასრულების პროცენტი

3. მიმდინარე პერიოდის დანახარჯების თავმოყრა. მასალისა და გადამუშავებაზე გაწეული მიმდინარე პერიოდის ხარჯები ცალ-ცალკე დაჯამდება.

4. ექვივალენტური ერთეულის თვითღირებულების გამოთვლა. მასალის ხარჯი გაიყოფა მასალის მიხედვით ექვივალენტური ერთეულების რაოდენობაზე და გადამუშავების დანახარჯი - გადამუშავების მიხედვით ექვივალენტური ერთეულების რაოდენობაზე.

5. დამთავრებული და დაუმთავრებელი პროდუქციის თვითღირებულების გამოთვლა.

6. წარმოების პროცესის ანგარიშის შედგენა. - დებეტსა და კრედიტში შესაბამისი ჩანაწერების გაკეთება.

ამ მეთოდის პრაქტიკული გამოყენების თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

მაგალითი 3.

თვის დასაწყისში საწარმოს დაუმთავრებელი პროდუქციის ანგარიშის ნაშთზე 2200 ერთეული პროდუქცია აქვს, სულ 4 800 ლარის. აქედან, ნედლეულის ხარჯი 3 100 ლარს შეადგენს, ხოლო გადამუშავების - 1 700 ლარს. ცნობილია, რომ დაუმთავრებელი პროდუქცია ნედლეულის მიხედვით სრულადაა დამთავრებული, გადამუშავების მიხედვით კი - 1/5-ით.

მიმდინარე თვეში საწარმომ 15 000 ცალი პროდუქციის წარმოება დაიწყო. პერიოდის ბოლოს დამთავრებული პროდუქციის რაოდენობამ 15 700 ერთეული შეადგინა. თვის განმავლობაში გაწეული ხარჯები: მასალის - 10 200 ლარი; გადამუშავების - 8 500 ლარი. თვის ბოლოს დაუმთავრებელი 1 500 ერთეული დარჩა, რომელიც შრომის მიხედვით $\frac{1}{2}$ -ით და მასალის მიხედვით სრულად იყო დამთავრებული.

საშუალო შეწონილი მეთოდით დავთვალოთ მზა და დაუმთავრებელი პროდუქციის თვითღირებულება.

ამოხსნა:

1. ფიზიკური ერთეულების დათვლა

	ცალი
დაუმთავრებელი პროდუქციის საწყისი ნაშთი	2 200
მიმდინარე თვეში დაწყებული	15 000
	<hr/>
	17 200
დამთავრებული პროდუქტი პერიოდის ბოლოს	15 700

დაუმთავრებელი პროდუქტის საბოლოო ნაშთი

1 500

17 200

2. ექვივალენტური ერთეულები

		მასალის მიხედვით		შრომის მიხედვით
დამთავრებული პროდუქტი	100%	15 700	100%	15 700
დაუმთავრებელი თვის ბოლოს	100%	1 500	50%	750
	ჯამი	17 200		16 450

3. მიმდინარე პერიოდის ხარჯები (ლარი)

	მასალის ხარჯი	შრომის ხარჯი	სულ
საწყისი დაუმთავრებელი პროდუქცია	3 100	1 700	4 800
მიმდინარე პერიოდის ხარჯი	10 200	8 500	18 700
ჯამი	13 300	10 200	23 500

4. ექვივალენტური ერთეულის თვითღირებულება

მასალის ხარჯი ერთ ექვივალენტურ ერთეულზე = $13\,300 / 17\,200 = 0,77326$

შრომითი ხარჯი ერთ ექვივალენტურ ერთეულზე = $10\ 200 / 16\ 450 = 0,62006$

5. მზა და დაუმთავრებელი პროდუქციის თვითღირებულების გამოთვლა

დამთავრებული პროდუქციის თვითღირებულება = $15\ 700$ ცალი * $0,77326$ +

+ $15\ 700$ ცალი * $0,62006 = 12\ 140,182 + 9\ 734,942 = 21\ 875,124$ ლარი

დაუმთავრებელი პროდუქციის თვითღირებულება = $1\ 500$ ცალი * $0,77326$ +

+ 750 ცალი * $0,62006 = 1\ 159,89 + 465,045 = 1\ 624,935$ ლარი

თვითღირებულების გამოთვლისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაშთების სწორად შეფასება.

თვითღირებულების კალკულაციის FIFO მეთოდი ორი ძირითადი თავისებურებით ხასიათდება: 1. მზა პროდუქცია ორ ჯგუფად იყოფა: I - წინა პერიოდში დაწყებული და მიმდინარე თვეში დასრულებული; II - მოცემულ თვეში დაწყებული და დასრულებული. 2. ექვივალენტური ერთეულების დათვლისას გაითვალისწინება საწყისი დაუმთავრებელი პროდუქციის ნაშთის არა დასრულების, არამედ დაუმთავრებლობის ხარისხი. მაგალითად, თუ პერიოდის დასაწყისისთვის დაუმთავრებელი პროდუქცია მასალის მიხედვით 80%-ით და შრომის მიხედვით 65%-ითაა დასრულებული, ექვივალენტური ერთეულების დათვლილას გაითვალისწინება მხოლოდ მოცემულ პერიოდში გაწეული დანახარჯები, რომელიც მასალისა და შრომის მიხედვით, შესაბამისად, 20% და 35%-ია.


- **დანახარჯთა კალკულაცია მომსახურების სახეების მიხედვით.** გამოიყენება მომსახურების გამწევ დაწესებულებებში, როგორცაა საგანმანათლებლო ცენტრები, სატრანსპორტო კომპანიები, ტურისტული ფირმები და სხვა.

- დანახარჯთა კალკულაცია საქმიანობის სახეების მიხედვით (ABC). კალკულაციის ამ მეთოდის გამოყენებისას, საწარმოო ზედნადები ხარჯები ჯერ საქმიანობის სახეების მიხედვით განაწილდება და შემდეგ პროდუქციის მიხედვით. თვითღირებულების კალკულაციის პრინციპები ინფორმაციის მომხმარებელთა მიზანს განსაზღვრავს.

პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის პრინციპებია:

- » “კალკულაცია დანახარჯთა სრული განაწილების გზით;
- » კალკულაცია ზღვრული დანახარჯებით;
- » კალკულაცია ალტერნატიული ღირებულებით.”

ფინანსური ანგარიშგების შედეგის მიზნით დანახარჯთა სრული განაწილების მიდგომა გამოიყენება. კალკულაციის ამ პრინციპის მიზანია პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე გაწეული მთლიანი ხარჯების განსაზღვრა.



თვითღირებულების კალკულაციის ტექნიკა გულისხმობს თვითღირებულების გამოთვლის სიზუსტის კონტროლს. ეს შეიძლება მოხდეს:

1. ნორმატიული დანახარჯების კალკულაციით;
2. გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლების შედარება- ანალიზით (ბიუჯეტური კონტროლის მეთოდი).

1.3 სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და ერთი ლარის რეალიზებულ პროდუქციაზე დანახარჯების ანალიზი

წარმოების მთლიანი დანახარჯების ოდენობა დამოკიდებულია წარმოებულ ერთეულთა რაოდენობაზე; გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურის ცვლილებაზე, ფიქსირებული (მუდმივი) ხარჯის ოდენობასა და წარმოების ერთეულზე გაწეულ ცვალებად დანახარჯებზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქმიანობის დონის ცვლილება გავლენას არ ახდენს მუდმივ საწარმოო ზედნადებ ხარჯებზე. ის ფიქსირებული ოდენობისაა საქმიანობის ნებისმიერ დონეზე. რაც შეეხება ცვლად დანახარჯებს, მისი სიდიდე წარმოების მოცულობის ცვლილების პირდაპირპროპორციულად იცვლება.

წარმოების მოცულობასა და მთლიან დანახარჯებს შორის დამოკიდებულება შემდეგი წრფივი ფუნქციით შეიძლება გამოიხატოს:

$$y = a + bx, \text{ სადაც } (1.1)$$

y – წარმოების მთლიანი დანახარჯი (დამოკიდებული ცვლადი)

a – პერიოდის მუდმივი დანახარჯი;

b – ცვლადი დანახარჯი პროდუქციის ერთეულზე;

x – საქმიანობის დონე (დამოკიდებული ცვლადი)

ქვემოთ მოყვანილი მაგალითის საფუძველზე განვიხილოთ, თუ როგორ იცვლება წარმოების მთლიანი დანახარჯებისა და პროდუქციის ერთეულზე გაწეული ხარჯების სიდიდე წარმოების დონის ცვლილების პარალელურად.

მოცემულია შემდეგი ცხრილი:

ცხრილი 1.


გამოშვების მთლიანი მოცულობა, გამოშვების მთლიანი თვითღირებულება და წარმოებული პროდუქციის ერთი ერთეულის თვითღირებულება სააგარიშგებო წელს

წარმოებული პროდუქციის მოცულობა (ცალი)	წარმოების მთლიანი დანახარჯი (ლარი)			პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება (ლარი)		
	მუდმივი ხარჯი	ცვლადი ხარჯი	სულ	მუდმივი ხარჯი	ცვლადი ხარჯი	სულ
1 000	200 000	120 000	320 000	200	120	320
2 000	200 000	240 000	440 000	100	120	220
3 000	200 000	360 000	560 000	67	120	187
4 000	200 000	480 000	480 000	50	120	170
5 000	200 000	600 000	800 000	40	120	160

ცხრილის მონაცემების მიხედვით, პერიოდის ფიქსირებული (მუდმივი) დანახარჯის აბსოლუტური მაჩვენებელი 200 000 ლარს შეადგენს და ის წარმოების ყველა დონეზე ერთნაირია. გამოშვების ზრდასთან ერთად, პროდუქციის ერთეულზე მუდმივი დანახარჯის სიდიდე მცირდება, ხოლო ცვლადი ხარჯისა - მუდმივია.


წარმოების დონეზე მუდმივი და ცვლადი დანახარჯების დამოკიდებულებას, გრაფიკულად ასეთი სახე აქვს:

გრაფიკი 1.1



პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების დამოკიდებულება წარმოების ოდენობაზე, ქვემოთ მოცემულ გრაფიკზეა (1.2) ნაჩვენები:

გრაფიკი 1.2



პროდუქციის ერთეულზე გაწეული ცვალებადი ხარჯების სიდიდე მუდმივია, ხოლო ფიქსირებული ხარჯის - კლებადი, შესაბამისად, ერთეულის თვითღირებულების მრუდიც კლებადია.

სასაქონლო პროდუქციის წარმოების მთლიანი ფაქტობრივი ხარჯების გეგმურისგან გადახრის ანალიზისთვის, საჭიროა განისაზღვროს მთლიანი გადახრის რა წილი მოდის გადახრაზე მოქმედ ცალკეული ფაქტორებზე.

I ფაქტორი - წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ცვლილების გავლენა

გეგმის შესრულების პროცენტის მიხედვით დანახარჯს მინუს გეგმური დანახარჯები:

$$\sum a_{oi} + (b_{oi} * x_{oi}) * K - \sum a_{oi} + (b_{oi} * x_{oi}) \quad (1.2)$$

II ფაქტორი -წარმოებულ პროდუქციაში სტრუქტურული ცვლილებების გავლენა

ფაქტობრივ გამოშვებაზე დანახარჯი გეგმური მაჩვენებლების პირობებში მინუს გეგმის შესრულების პროცენტის მიხედვით ხარჯი:

$$\sum a_{oi} + (b_{oi} * x_{1i}) - \sum a_{oi} + (b_{oi} * x_{oi}) * K \quad (1.3)$$

III ფაქტორი- პროდუქციის ერთეულის ცვლადი ხარჯების ცვლილების გავლენა:

დანახარჯი პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე ფაქტობრივად, მუდმივი დანახარჯების გეგმური დონის პირობებში მინუს ფაქტობრივ გამოშვებაზე დანახარჯი გეგმური მაჩვენებლების მიხედვით

$$\sum a_{oi} + (b_{1i} * x_{1i}) - \sum a_{oi} + (b_{oi} * x_{1i}) \quad (1.4)$$

IV ფაქტორი - მუდმივი დანახარჯების ცვლილების გავლენა:

ფაქტობრივი დანახარჯებს მინუს ფაქტობრილ გამოშვებაზე დანახარჯი გეგმური მაჩვენებლების პირობებში

$$\sum a_{1i} + (b_{1i} * x_{1i}) - \sum a_{oi} + (b_{oi} * x_{1i}) \quad (1.5)$$

სადაც,

a_i - i -ური სახის პროდუქციაზე გაწეული მუდმივი ხარჯებია

b_i - i -ური სახის პროდუქციაზე გაწეული ცვლადი ხარჯებია

x_i - ცალკეული სახის პროდუქციის გამოშვების რაოდენობა

0 და 1 - გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლების აღმნიშვნელი ინდექსები.

ერთი ლარის რეალიზებულ პროდუქციაზე დანახარჯი განისაზღვრება, როგორც რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების შეფარდება ამავე პროდუქციის ღირებულებასთან. ის გვიჩვენებს რეალიზაციის ყოველ ერთ ლარს დანახარჯის რაოდენობა შეესაბამება. ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს რეალიზებულ პროდუქციაზე დანახარჯების ან რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების ცვლილებას, მოქმედებს ერთი ლარის რეალიზებულ პროდუქციაზე დანახარჯების მოცულობის მაჩვენებელზე. ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნება:

1. ცვლილებები რეალიზებული პროდუქციის მოცულობის სტრუქტურაში.

როდესაც რეალიზებული პროდუქციის მთლიან რაოდენობაში ცალკეული სახეობის პროდუქციის ფაქტობრივი ხვედრითი წილი გეგმურისგან განსხვავებულია, რეალიზაციის ერთ ლარზე დანახარჯის ცვლილება შემდეგნაირად ანგარიშდება:

$$\Delta_1 = \frac{\sum C_i^0 Q_i^1}{\sum P_i^0 Q_i^1} - \frac{\sum C_i^0 Q_i^0}{\sum P_i^0 Q_i^0}, \text{ სადაც (1.6)}$$

C - რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

Q - რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა

P - რეალიზებული პროდუქციის ფასი

i - ცალკეული სახეობის პროდუქციის აღმნიშვნელი ინდექსი

0 და 1 - შესაბამისად, გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლების აღმნიშვნელი ზედა ინდექსი

რეალიზებულ პროდუქციაში სტრუქტურული ცვლილების გავლენის გასაზომად, ფაქტობრივად რეალიზებული პროდუქციის რაოდენობისა და გეგმური მაჩვენებლების საფუძველზე დათვლილი რეალიზაციის ერთი ლარის შესაბამისი დანახარჯი უნდა შევუპირისპიროთ მხოლოდ გეგმური მაჩვენებლებით დათვლილ დანახარჯს რეალიზაციის ერთ ლარზე. მათ შორის სხვაობა (Δ_1) აღნიშნული ფაქტორის გავლენის სიდიდეს გვიჩვენებს.

2. სარეალიზაციო ფასის ცვლილება ცალკეულ პროდუქციაზე.

ცალკეული i -ური სახის პროდუქციის სარეალიზაციო ფასის ცვლილების გავლენა შემდენაირად განისაზღვრება:

$$\Delta_2 = \frac{\sum c_i^1 q_i^1}{\sum p_i^1 q_i^1} - \frac{\sum c_i^0 q_i^1}{\sum p_i^0 q_i^1} \quad (1.7)$$

მხოლოდ ფაქტობრივი მაჩვენებლების საფუძველზე დათვლილ რეალიზაციის ერთი ლარის შესაბამის დანახარჯი უნდა შეუდარდეს რეალურად გაყიდულ ერთეულთა რაოდენობის, რეალიზაციის ფაქტობრივი თვითღირებულებისა და გეგმით გათვალისწინებული ფასების საფუძველზე დათვლილ რეალიზებული პროდუქციის ერთი ლარის შესაბამის დანახარჯს.

3. მატერიალური რესურსების ფასებისა და ტარიფების ცვლილება.

რეალიზებული პროდუქციის საწარმოებლად გამოყენებულ მატერიალურ რესურსებზე ფასებისა და ტარიფების ცვლილების გავლენის დასადგენად, რეალიზაციის ფაქტობრივი მოცულობის, ფაქტობრივი თვითღირებულების და გეგმური ფასებით დათვლილ რეალიზაციის ერთი ლარის დანახარჯს უნდა გამოვაკლოთ იმავე მაჩვენებლებითა და მატერიალური რესურსების ფასებისა და ტარიფების ცვლილების თანხით დათვლილი დანახარჯი. რაც ალგებრულად ასე ჩაიწერება:

$$\Delta_3 = \frac{\sum c_i^1 q_i^1}{\sum p_i^0 q_i^1} - \frac{\sum c_i^1 q_i^1 \pm K}{\sum p_i^0 q_i^1}, \text{ სადაც } (1.8)$$

K - მატერიალურ რესურსებზე ფასებისა და ტარიფების ცვლილების აბსოლუტური მნიშვნელობა.

4. ცალკეული სახეობის პროდუქციაზე თვითღირებულების ცვლილება.

i-ური სახეობის პროდუქციის თვითღირებულების ფაქტობრივ და გეგმურ სიდიდეებს შორის სხვაობის გავლება შემდეგი ფორმულით განისაზღვრება:

$$\Delta_4 = \frac{\sum C_i^1 Q_i^1 \pm K}{\sum P_i^0 Q_i^1} - \frac{\sum C_i^0 Q_i^1}{\sum P_i^0 Q_i^1} \quad (1.9)$$

ერთი ლარის რეალიზებული პროდუქციის დანახარჯზე მოცემული ფაქტორის გავლენის გასაზომად, ფაქტობრივად გაყიდული პროდუქციის ერთეულთა რაოდენობით, ფაქტობრივი თვითღირებულებითა და გეგმით გათვალისწინებული ფასებით დათვლილი რეალიზაციის ერთ ლარზე დანახარჯი უნდა დაკორექტირდეს მატერიალურ რესურსებზე ფასებისა და ტარიფების ცვლილების სიდიდით და შეუდარდეს რეალიზაციის ერთ ლარზე დანახარჯს, რომელიც დათვლილია რეალიზაციის ფაქტობრივი მოცულობის დაფუძველზე გეგმურ პირობებში.

ერთი ლარის რეალიზებულ პროდუქციაზე დანახარჯის ფაქტობრივ და გეგმურ მაჩვენებლებს შორის გადახრა, ოთხივე ფაქტორის გავლენათა ჯამით განისაზღვრება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შპს „ჯეოსთილის“ 2018 წლის მონაცემები. ამ მონაცემების მიხედვით განვსაზღვროთ ერთი ლარის რეალიზებული პროდუქციის დანახარჯის ცვლილებაზე თითოეული ფაქტორის გავლენა.

შენიშვნა:

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ფაქტობრივი მაჩვენებელი გეგმურს 10 მლნ. ლარით აჭარბებს.

ცხრილი 1.2

დანახარჯები ერთი ლარის რეალიზებულ პროდუქციაზე 2018 წელს

(მლნ. ლარი)

მაჩვენებელი	გეგმური	ფაქტობრივად გეგმური პირობით	ფაქტობრივი
-------------	---------	--------------------------------	------------

რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	179	142	175
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	130	103	139
დანახარჯი ერთი ლარის რეალიზაციაზე	0,726	0,725	0,794

I. სტრუქტურული ცვლილებები რეალიზებული პროდუქციის მოცულობაში

$$\Delta_1 = \frac{103}{142} - \frac{130}{179} = 0,725 - 0,726 = -0,001$$

II. სარეალიზაციო ფასის ცვლილება ცალკეულ პროდუქციაზე

$$\Delta_2 = \frac{139}{175} - \frac{139}{142} = 0,794 - 0,979 = -0,185$$

III. მატერიალური რესურსების ფასებისა და ტარიფების ცვლილება

$$\Delta_3 = \frac{139}{142} - \frac{139 - 10}{142} = 0,979 - 0,908 = 0,071$$

IV. ცალკეული სახეობის პროდუქციაზე თვითღირებულების ცვლილება

$$\Delta_4 = \frac{139 - 10}{142} - \frac{103}{142} = 0,908 - 0,725 = 0,183$$

ოთხივე ფაქტორის ჯამური გავლენა :

$$\Delta = \Delta_1 + \Delta_2 + \Delta_3 + \Delta_4 = -0,001 + (-0,185) + 0,071 + 0,183 = 0,068$$

მიღებული შედეგების მიხედვით, ვგებულობთ, რომ ერთი ლარის რეალიზაციაზე დანახარჯი გაყიდვების მოცულობაში მომხდარი სტრუქტურული ცვლილების გამო 0,1 თეთრით შემცირდა;

ცხრილი 1.3

რეალიზაციის სტრუქტურა (ტონა)

	2018	2017	ცვლილება აბსოლუტურ მაჩვენებელში	პროცენტული ცვლილება
არმატურა	119, 017	147,301	(28,284)	(19,20%)
ფოლადის ნამზადი	-	2,966	(2,966)	-

რეალიზებული პროდუქციის ცალკეულ სახეობებზე ფასის ცვლილებამ, ერთი ლარის რეალიზაციაზე დანახარჯის სიდიდე 18,5 თეთრით შეამცირა. 2018-ში კომპანიას წარმოება უფრო ძვირი უჯდებოდა, შედეგად, გაიზარდა არმატურის სარეალიზაციო ფასი, რამაც ერთი ლარის რეალიზაციაზე დანახარჯის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით შეამცირა.

მატერიალურ რესურსებზე დანახარჯების ზრდის გამო, რეალიზაციის ერთ ლარზე დანახარჯის მაჩვენებელი 7,1 თეთრით გაიზარდა;

ცალკეული სახეობის პროდუქციაზე დანახარჯების დონის მატებამ, ერთი ლარის რეალიზაციის შესაბამისი დანახარჯის მაჩვენებლის 18,3 თეთრით გაზარდა გამოიწვია.

თავი 2. საქმიანობის ეფექტიანობის ფინანსური შედეგების ანალიზი


2.1 ფინანსური შედეგების მაჩვენებელთა სისტემა და ანალიზის მეთოდოლოგია

სამეწარმეო საქმიანობის საბოლოო ფინანსური შედეგი მოგება ან ზარალია. საწარმო მოგებას იყენებს საქმიანობის გაფართოებისთვის, დაგეგმილი პროექტების განხორციელების, საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულების, დასაქმებულთა წახალისებისა და ქველმოქმედებისთვის.

ამდენად, საწარმოს დადებითი ფინანსური შედეგით არა მხოლოდ მისი მესაკუთრეები, არამედ დასაქმებული პერსონალი, მომწოდებელი კომპანიები და მთელი საზოგადოებაა დაინტერესებული. მოგება სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების მნიშვნელოვანი წყაროა და, შესაბამისად, მისი მაღალი მაჩვენებლით სახელმწიფოცაა დაინტერესებული.

მოგება წარმოადგენს პროდუქციის რელიზაციიდან მიღებული შემოსავლების იმ ნაწილს, რომელიც კომპანიას რჩება, სახელმწიფო გადასახადებისა და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოქვითვის შემდეგ. ის ეკონომიკური ეფექტიანობის კომპლექსური და ზოგადი მაჩვენებელია. საწარმოს ფინანსური მენეჯმენტის უმთავრესი ამოცანაა იმ გონივრული გზების ძიება, რომელიც კომპანიის მოგებას გაზრდის.

სქემა 2.1 მოგების ფორმირების საფეხურები



ცხრილი 2.1

მოგების მაჩვენებლები

შპს „ჯეოსთილი“

2016 -2018 წწ


ლარი	2016	2017	2018
საერთო მოგება	24 849 909	48 680 603	35 804 727
საოპერაციო მოგება	14 274 329	34 012 915	25 118 541
მოგება დაბეგვრამდე	9 347 046	36 279 989	25 801 093
წმინდა მოგება	7 944 989	36 279 989	25 801 093

გრაფიკი 2.1

მოგების მაჩვენებლები დინამიკაში

შპს „ჯეოსთილი“

2016 -2018 წწ



ცხრილში მოცემულია საანალიზო სამი წლის (2016-2018წწ) მონაცემები, საიდანაც ვგებულობთ, რომ 2018 წლის ყველანაირი მოგების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით შემცირებულია, თუმცა 2016 წლის მოგების მაჩვენებლები 2017-2018 წლებში გაუმჯობესებულია.


2017 – 2018 წლების მოგების მაჩვენებლების პროცენტული ცვლილება 2016 წელთან შედარებით (გრაფიკი 2.2) :

გრაფიკი 2.2

მოგების მაჩვენებლების ზრდის ტემპი

შპს „ჯეოსთილი“

2016 - 2018



რეალიზაციიდან მიღებული მოგება(საერთო მოგება) წარმოადგეს სხვაობას გაყიდული საქონლიდან (გაწეული მომსახურებიდან) მიღებულ შემოსავალსა და რეალიზებული პროდუქციის(გაწეული მომსახურების) თვითღირებულებას შორის. მის სიდიდეზე გავლენას ახდენს ყველა ის ფაქტორი, რომელიც შემოსავლის ან მთლიანი

თვითღირებულების ცვლილებას იწვევს. გამოყოფენ ექვს ძირითად ფაქტორს, რომლებიც საერთო მოგების გადახრის მიზეზი შეიძლება იყოს. ეს ფაქტორებია:

პირველი ფაქტორი - რეალიზებული პროდუქციის მოცულობის ცვლილება

$$\Delta M_1 = M_o \times J - M_o = M_o(J - 1) \quad (2.1.1)$$

$$J = \frac{\sum C_i^0 Q_i^1}{\sum C_i^0 Q_i^0} \quad (2.1.2)$$

სადაც,

M_o - საბარო წლის მოგება;

J - რეალიზაციის ზრდის ინდექსი;

Q - გამოშვებული პროდუქციის მოცულობა;

C - ერთეული პროდუქციის თვითღირებულება;

i - ცალკეული პროდუქციის აღმნიშვნელი ინდექსი

მეორე ფაქტორი - პროდუქციის სარეალიზაციო ფასის ცვლილება

$$\Delta M_2 = \sum P_i^1 Q_i^1 - \sum P_i^0 Q_i^1 \quad (2.1.3)$$

მესამე ფაქტორი - რეალიზებული პროდუქციის სტრუქტურის ცვლილება

$$\Delta M_3 = M_o \times (J^1 - J) \quad (2.1.4)$$

სადაც,

$$J^1 = \frac{\sum P_i^0 Q_i^1}{\sum P_i^0 Q_i^0} \quad (2.1.5)$$

მეოთხე ფაქტორი - პროდუქციის ერთეულზე რესურსების დანახარჯების მოცულობის ცვლილება

$$\Delta M_4 = \Sigma C_i^0 Q_i^1 - \Sigma C_i^{ii} Q_i^1 \quad (2.1.6)$$

სადაც, C_i^{ii} - პროდუქციის თვითღირებულება, რომელიც დათვლილია რესურსებზე დანახარჯების ფაქტობრივი დონისა და სხვა ფაქტორების საბაზისო წლის მაჩვენებლების მიხედვით

მეხუთე ფაქტორი - რესურსებზე ფასებისა და ტარიფების ცვლილება

$$\Delta M_5 = -(\Sigma C_i^1 Q_i^1 - \Sigma C_i^{ii} Q_i^1) \quad (2.1.7)$$

მეექვსე ფაქტორი - პროდუქციის თვითღირებულების ცვლილება, პროდუქციის შემადგენლობაში სტრუქტურული ცვლილების შედეგად

$$\Delta M_6 = -(\Sigma C_i^0 Q_i^1 - \Sigma C_i^0 Q_i^0 \times \frac{\Sigma P_i^0 Q_i^1}{\Sigma P_i^0 Q_i^0}) \quad (2.1.8)$$

შპს „ჯეოსთილის“ მაგალითზე განვსაზღვროთ საერთო მოგების მთლიან გადახრაზე ცალკეული ფაქტორების გავლენა:

ცხრილი 2.2

რეალიზებული პროდუქციის მაჩვენებლები

შპს „ჯეოსთილი“

(ლარი)

მაჩვენებლები	2016 (საბაზისო)	ფაქტობრივად		ფაქტობრივად	
		გაანგარიშებული საბაზისო წლის პირობებით (2016)	2017	გაანგარიშებული საბაზისო წლის პირობებით(2016)	2018
რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	106 869 542	143 339 691	178 956 816	113 530 316	174 920 583

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	82 019 633	109 995 444	130 276 213	87 120 444	139 115 856
საერთო მოგება	24 849 909		48 680 603		35 804 727

შპს „ჯეოსთილის“ ფინანსური ანგარიშგების მონაცემების მიხედვით:

2016 წელი : სარეალიზაციო ფასი (P_0) =953,90 ლარი;
 ერთეულის თვითღირებულება (C_0) = 732 ლარი;
 რეალიზაციის მოცულობა (Q_0) = 112 034 ტონა

2017 წელი: სარეალიზაციო ფასი (P_1) =1 190,82 ლარი;
 ერთეულის თვითღირებულება (C_1) = 925,79 ლარი;
 რეალიზაციის მოცულობა (Q_1) = 150 267 ტონა

2018 წელი : სარეალიზაციო ფასი (P_1) =1 469,71 ლარი;
 ერთეულის თვითღირებულება (C_1) = 1 169 ლარი;
 რეალიზაციის მოცულობა (Q_1) = 119 017 ტონა

2018 წლის საერთო მოგების სიდიდე 2016 წლისას 10 954 818 ლარით აჭარბებს ($\Delta=10\,954\,818$). განვსაზღვროთ ცალკეული ფაქტორის გავლენა მთლიან გადახრაზე:

პირველი ფაქტორი - რეალიზებული პროდუქციის მოცულობის ცვლილება

$$\Delta M_1 = 24849909 * \left(\frac{87120444}{82019633} - 1 \right) = 1\,490\,995$$

რეალიზებული პროდუქციის მოცულობის ცვლილების შედეგად (2018 წელს 6 983 ტონა არმატურით მეტი გაიყიდა, 2016 წელთან შედარებით) საერთო მოგების მაჩვენებელი 1 490 995 ლარით გაიზარდა.

მეორე ფაქტორი - პროდუქციის სარეალიზაციო ფასის ცვლილება

$$\Delta M_2 = 174920583 - 113542218 = 61\,390\,159$$

2018-ში სარეალიზაციო ფასი 953,90 ლარიდან 1 469,71 ლარამდე გაიზარდა (ერთ ტონაზე). ამან საერთო მოგების 61 390 159 ლარით ზრდა გამოიწვია.

მესამე ფაქტორი - რეალიზებული პროდუქციის სტრუქტურის ცვლილება

$$\Delta M_3 = 24849909(1,26849 - 1,06) = 5\,181\,049$$

რეალიზებულ პროდუქციაში მომხდარი ხელსაყრელი სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, მოგების მაჩვენებელმა 5 181 049 ლარით გადააჭარბა 2016 წლის მაჩვენებელს.

მეოთხე ფაქტორი - პროდუქციის ერთეულზე რესურსების დანახარჯების მოცულობის ცვლილება

$$\Delta M_4 = 87120444 - 130967746 = -43\,847\,302$$

2018 წელს კომპანიას წარმოება გაცილებით ძვირი უჯდებოდა, ვიდრე 2016 -ში. ამან საერთო მოგების სიდიდე შეამცირა 43 847 302 ლარით.

მეხუთე ფაქტორი - რესურსებზე ფასებისა და ტარიფების ცვლილება

$$\Delta M_5 = -(139115856 - 130967746) = -8\,148\,110$$

რესურსებზე ფასების ზრდის გამო მოგება 8 149 110 ლარით შემცირდა.

მეექვსე ფაქტორი - პროდუქციის თვითღირებულების ცვლილება, პროდუქციის შემადგენლობაში სტრუქტურული ცვლილების შედეგად

$$\Delta M_6 = -82019633 * \left(1 - \frac{113530316}{106869542}\right) = -5\,111\,973$$

პროდუქციის შემადგენლობაში სტრუქტურული ძვრების შედეგად გაიზარდა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, რამაც მოგების 5 111 973 ლარით შემცირება გამოიწვია.

საბოლოოდ, ექვსივე ფაქტორის გავლენათა ჯამი გვაძლევს საერთო გადახრას:

$$\Delta M = \Delta M_1 + \Delta M_2 + \Delta M_3 + \Delta M_4 + \Delta M_5 + \Delta M_6 = 1\,490\,995 + 61\,390\,159 + 5\,181\,049 + (-43\,847\,302) + (-8\,148\,110) + (-5\,111\,973) = \mathbf{10\,954\,818}$$

2017 წლის საერთო მოგების მაჩვენებელი საბაზისო (2016) წლისას 23 830 694 ლარით აღემატება.

ჩავატაროთ ანალოგიური გამოთვლები:

პირველი ფაქტორის გავლენა:

$$\Delta M_1 = 24849909 * \left(\frac{109995444}{82019633} - 1 \right) = \mathbf{8\,475\,975}$$

რეალიზებული პროდუქციის მოცულობის ზრდის გამო საერთო მოგებაა 8 475 975 ლარით გაიზარდა.

მეორე ფაქტორის გავლენა:

$$\Delta M_2 = \mathbf{178956816 - 143339691 = 35\,617\,125}$$

სარეალიზაციო ფასის ზრდამ 953,90 ლარიდან 1190,92 ლარამდე (ერთ ტონაზე) საერთო მოგების მაჩვენებელი 35 617 125 ლარით გაზარდა. ამ ფაქტორის გავლენა მთლიან გადახრაზე ყველაზე დიდია.

მესამე ფაქტორის გავლენა:

$$\Delta M_3 = 24849909 * (0,6518 - 1,3410) = \mathbf{-14\,127\,901}$$

რეალიზებული პროდუქციის სტრუქტურაში არ მომხდარა სახარბიელო ცვლილებები. შედეგად, საერთო მოგება 14 127 901 ლარით შემცირდა საბაზისო წელთან შედარებით.

მეოთხე ფაქტორის გავლენა:

$$\Delta M_4 = 109995444 - 103719957 = 6\,275\,487$$

პროდუქციის ერთეულზე რესურსების დანახარჯების მოცულობა შემცირდა. ამან მოგება 6 275 4887 ლარით გაზარდა.

მეხუთე ფაქტორის გავლენა:

$$\Delta M_5 = -(113115856 - 103719957) = -9\,395\,899$$

რესურსებზე ფასების ზრდამ უარყოფითად იმოქმედა მოგების სიდიდეზე და მისი მოცულობა საბაზისო წელთან შედარებით 9 395 899 ლარით შეამცირა.

მექვსე ფაქტორის გავლენა:


$$\Delta M_6 = -\left(109995444 - 82019633 * \frac{143339691}{106869542}\right) = -14\,093$$

2017 წელს რეალიზებული პროდუქციის შემადგენლობაში არახელსაყრელი სტრუქტურული ცვლილების შედეგად გაიზარდა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება. მოგების მაჩვენებელი 14 093 ლარით შემცირდა. ამ უკანასკნელის გავლენა საერთო გადახრაზე ყველაზე მცირეა.

საბოლოოდ, ექვსივე ფაქტორის გავლენათა ჯამი გვაძლევს საერთო გადახრას:

$$\Delta M = \Delta M_1 + \Delta M_2 + \Delta M_3 + \Delta M_4 + \Delta M_5 + \Delta M_6 = 8\,475\,975 + 35\,617\,125 + (-17\,127\,901) + 6\,275\,487 + (-9\,395\,899) + (-14\,093) = 23\,830\,694$$

საერთო მოგების ფაქტორული ანალიზი
შპს „ჯეოსთილი“



საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების ანალიზის ძირითადი ამოცანებია:⁴

„● ფინანსური შედეგების აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლების დინამიკის შესწავლა;

- პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფაქტორული ანალიზი;
- სხვა რეალიზაციიდან, არასარეალიზაციო საქმიანობიდან მიღებული ფინანსური შედეგების ანალიზი;
- წარმოების მოცულობის, ხარჯების და ბრუნვის ოპტიმიზაციის საფუძველზე მოგებისა და რენტაბელობის ზრდის შესაძლო რეზერვების გამოვლენა;
- ღონისძიებების შემუშავება გამოვლენილი რეზერვების გამოსაყენებლად.“

⁴ ტყეშელაშვილი, გ., კიწმარიშვილი, ქ., კილაძე, თ., 2012, ეკონომიკურ ანალიზი, თბილისი, გვ 75

ხარჯების მაჩვენებელი

შპს „ჯეოსთილი“

(ლარი)


ლარი	2016	2017	2018
გაყიდვების ღირებულება	82 019 633	130 276 213	139 115 856
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7 193 175	10 713 857	8 692 838
მიწოდების ხარჯი	2 542 735	4 502 272	2 424 750
სხვა საოპერაციო ხარჯი	941 713	-	-
ფინანსური ხარჯი	1 739 694	1 290 930	905 222
სულ ხარჯი	93 495 237	140 990 070	151 138 666

გრაფიკი 2.2

ხარჯების ცვლილება დინამიკაში

შპს „ჯეოსთილი“

(ლარი)



2017 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წინა წელთან შედარებით. 2017-ში სამშენებლო მასალებზე მკვეთრად გაზრდილი მოთხოვნის გამო, შპს „ჯეოსთილმა“ 38 233 ტონით მეტი არმატურის რეალიზაცია შეძლო. ნატურალურ მაჩვენებლებში გაყიდვების ზრდის გამო, რეალიზებული პროდუქციის მთლიანი თვითღირებულება გაიზარდა. შესაბამისად, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვანი ზრდის მიზეზი იყო გაყიდვების მოცულობის ზრდა და არა ხარჯების არაეფექტიანად დაგეგმვა.

2018 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ 2018 წელს ქართული წარმოების სამშენებლო მასალებზე (მათ შორის, შპს „ჯეოსთილის“ არმატურაზე) მოთხოვნა მნიშვნელოვნად შემცირდა და კომპანიამ წინა წელთან შედარებით 31 250 ტონა არმატურით ნაკლები გაყიდა, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებამ მაინც გადააჭარბა წინა წლის მაჩვენებელს. ამის მიზეზი მასალებზე ფასების მატება იყო. 2018 წელს კომპანიას საქმიანობა უფრო ძვირი უჯდებოდა ვიდრე 2017 და 2016 წლებში.

საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია შევავსოთ მისი ფინანსური სტაბილურობა, რაც მის მყარ ფინანსურ დამოუკიდებლობას გულისხმობს. ფინანსური სტაბილურობა აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლებით ფასდება.

ცხრილი 2.3

შპს „ჯეოსთილის“ ფინანსური მაჩვენებლები
(ლარი)

	2016	2017	2018
გრძელვადიანი აქტივები	55 021 296	50 710 886	51 438 528
მიმდინარე აქტივები	74 045 930	111 627 646	122 829 829
აქტივები	129 067 226	162 338 532	174 268 257
საკუთარი კაპიტალი	90 845 944	127 125 933	152 457 408

გრძელვადიანი	17 719 629	11 569 398	-
ვალდებულებები			
მოკლევადიანი	20 501 653	23 643 201	21 810 849
ვალდებულებები			
ვალდებულებები	38 221 282	35 212 599	21 810 849

ცხრილის მონაცემების მიხედვით განვსაზღვროთ ფინანსური სტაბილურობის ფარდობითი მაჩვენებლები:

საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი

$$= \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მოზიდული კაპიტალი}}$$

(2.1.1)

ეს კოეფიციენტი სწარმოს ფინანსური სტაბილურობის ზოგადი მაჩვენებელია. მისი ნორმალური მაჩვენებელი ერთის ტოლია.

$$\text{საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{აქტივები}}$$

(2.1.2)

კოეფიციენტი (2.1.2) გვიჩვენებს საკუთარი კაპიტალის წილს მთლიან აქტივებში. სასურველია, რომ საწარმოს თავისი აქტივების მინიმუმ 50%-ის დაფინანსება შეეძლოს საკუთარი საშუალებებით.

საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა

$$= \frac{\text{საკ. კაპიტალი} + \text{გრძელ. ვალდებ.} - \text{გრძელ. აქტივები.}}{\text{მიმდინარე აქტივები}}$$

(2.1.3)

$$\text{ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი} = \frac{\text{აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

(2.1.4)

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის შებრუნებული მაჩვენებელია. მისი ზრდა დაფინანსების გარე წყაროებზე დამოკიდებულების ზრდას ნიშნავს.

$$\text{მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \frac{\text{ვალდებულებები}}{\text{აქტივები}} \quad (2.1.5)$$

ახასიათებს იმას, თუ აქტივების ყოველ ერთ ლარს მთლიანი ვალდებულებების რამდენი ლარი შეესაბამება.

$$\text{მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი} = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{ვალდებულებები}} \quad (2.1.6)$$

გვიჩვენებს გრძელვადიანი ვალდებულებების ხვედრით წილს მთლიან ვალდებულებებში. მისი იდეალური დონე საქმიანობის სპეციფიკასა და თავისებურებებზეა დამოკიდებული.

$$\begin{aligned} & \text{მატერიალური მარაგების უზრუნველყოფა საკუთარი სახსრებით} \\ & = \frac{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}{\text{მატერიალური მარაგები}} \end{aligned} \quad (2.1.7)$$

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს საწარმოს საკუთარი საბრუნავი სახსრებით მარაგების რა ნაწილის დაფინანსება შეუძლია.

$$\begin{aligned} & \text{გრძელვადიან დაბანდების სტრუქტურის კოეფიციენტი} \\ & = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{გრძელვადიანი აქტივები}} \end{aligned} \quad (2.1.8)$$

კოეფიციენტი (2.1.8) გვიჩვენებს გრძელვადიანი აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული გრძელვადიანი ვალდებულებებით.

ფინანსური სტაბილურობის ფარდობითი მაჩვენებლები

შპს „ჯეოსთილი“

	2016	2017	2018
საკ. და მოზიდული			
სახსრების	2,38	3,61	6,99
თანაფარდობის			
კოეფიციენტი			
საკ.კაპიტალის	0,70	0,78	0,87
კონცენტრაციის			
კოეფიციენტი			
სსს-ით	0,72	0,78	0,82
უზრუნველყოფა			
ფინანსური	1,42	1,28	1,14
დამოკიდებულების			
კოეფიციენტი			
მოზიდული	0,30	0,28	0,13
კაპიტალის			
კონცენტრაციის			
კოეფიციენტი			
მოზიდული	0,45	0,33	0
კაპიტალის			
სტრუქტურის			
კოეფიციენტი			
მარაგების	1,21	1,77	1,27
უზრუნველყოფა			
საკუთარი			
სახსრებით			
გრძელვადიანი			

დაბანდების	0,31	0,23	0
სტრუქტურის			
კოეფიციენტი			

საწარმოს ფინანსური სტაბილურობა აბსოლუტური მაჩვენებლებითაც შეიძლება დახასიათდეს. გამოყოფენ ოთხი ტიპის ფინანსურ სტაბილურობას:

I. აბოლუტური ფინანსური სტაბილურობა

მარაგები < საკუთარი საბრუნავი სახსრები

II. ნორმალური ფინანსური სტაბილურობა

საკუთარი საბ. სახსრები < მარაგები < მარაგების ფორმირების „ნორმალური“ წყაროები

III. არასტაბილური ფინანსური მდგომარეობა

მარაგები > მარაგების ფორმირების „ნორმალური“ წყაროები

IV. კრიტიკული ფინანსური მდგომარეობა

საწარმო აკმაყოფილებს არასტაბილური ფინანსური მდგომარეობის უტოლობას და, ამასთან, გააჩნია დაუფარავი ვალდებულებები და ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები.

შპს „ჯეოსთილი“ საანალიზო სამივე წლის განმავლობაში აკმაყოფილებს აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობის კრიტერიუმს. ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარი საბრუნავი სახსრებით (მიმდინარე აქტივები-მიმდინარე ვალდებულებები) სრულად აფინანსებს მატერიალურ მარაგებს.

	2016	2017	2018
სსს	53 544 277	87 984 445	101 018 980
მარაგები	44 260 921	49 583 629	79 567 454

საწარმოს ფინანსურ მდგომარეობის ანალიზისას მნიშვნელოვანია შეფასდეს მისი გადახდისუნარიანობა. გადახდისუნარიანობას ლიკვიდურობის კოეფიციენტებით ახასიათებენ.

განვსაზღვროთ ლიკვიდურობის აბსოლუტური, შუალედური და საერთო კოეფიციენტები შპს „ჯეოსთილის“ მაგალითზე:

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი

$$= \frac{\text{ფულადი საშუალებები} + \text{მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

(2.1.9)

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს საწარმოს არსებული ფულითა და ფულის ექვივალენტებით მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილის დაფარვაა შესაძლებელი. იდეალურ შემთხვევაში მისი მნიშვნელობა ერთის ტოლია. ნორმალურად ფუნქციონირებადი საწარმო მიმდინარე ვალდებულებების მინიმუმ 20%-ს უნდა ფარავდეს ფულადი საშუალებებით.

შუალედური ლიკვიდურობის კოეფიციენტი

$$= \frac{\text{ფულადი საშუალებები} + \text{მოკლევადიანი მოთხოვნები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

(2.1.10)


გვიჩვენებს არსებული და მიმდინარე პერიოდში მისაღები ფულადი საშუალებით მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილი იფარება. მისი მნიშვნელობა ერთსა და ორს შორის უნდა მერყეობდეს.

$$\text{საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

(2.1.11)

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს იმას, თუ რეალურად არსებული და მთლიანად მისაღები ფულადი საშუალებები რამდენჯერ აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს. მიღებულია, რომ მისი მნიშვნელობა ორსა და სამს შორის მერყეობდეს.

შპს „ჯეოსთილის“ ლიკვიდურობის მაჩვენებლები



როგორც გრაფიკის მონაცემებიდან ვგებულობთ, შპს „ჯეოსთილი“ საანალიზო სამივე წელს გადახდისუნარიანია. მნიშვნელოვნად მაღალი და დინამიკაში ზრდადია საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი. 2017-ში კოეფიციენტის ზრდის მიზეზი მიმდინარე აქტივების მნიშვნელოვანი ზრდაა. მიმდინარე აქტივებში გაიზარდა ფულისა და ფულის ექვივალენტების მოცულობა (20 მლდ.-დან 55 მლნ.ლარამდე-მდე). ასევე, დაახლოებით 5 მლნ. ლარით გაიზარდა მარაგები. 2017 წელს საქართველოს ბაზარზე მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა სამშენებლო მასალებზე. ბუნებრივია, ამან შპს „ჯეოსთილის“ პროდუქციაზეც გაზარდა მოთხოვნა. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ რეალიზაციის ზრდის პარალელურად არ გაზრდილა დებიტორული დავალიანების მოცულობა (პირიქით, 2017 წლის მიმდინარე მოთხოვნები 2 მლნ. ლარით ნაკლებია 2016 წლისაზე). შედეგად, 2017 წელს გაიზარდა ფულადი საშუალებების ოდენობა საწარმოში. მიუხედავად იმისა, რომ 2017-ში გაიზარდა რეალიზებული პროდუქციის მოცულობა როგორც ლარებში, ისე ტონებში, წლის ბოლოს არარეალიზებული არმატურის მოცულობამ 7 მლნ. ლარით გააჭარბა წინა წლის მაჩვენებელს - გაიზარდა მარაგები (იხ. დანართი 3). 2017 წლის მიმდინარე ვალდებულებები 3 მლნ. ლარით გაიზარდა. შედეგად, მიმდინარე აქტივების ზრდის

ეფექტმა გააჭარმა მიმდინარე ვალდებულებების ზრდის ეფექტს - საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაუმჯობესდა.

რაც შეეხება 2018 წელს, მიმდინარე აქტივების მნიშვნელოვანი ზრდის მიზეზი მარაგების მოცულობის ზრდაა. ამ წელს ირანიდან დემპინგურ ფასად შემოვიდა სამშენებლო მასალები, რამაც ადგილობრივი წარმოების მასალებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად შეამცირა - შემცირდა შპს „ჯესთილის“ არმატურაზეც მოთხოვნა. გაყიდვების მნიშვნელოვანი კლების გამო, წლის ბოლოს არარეალიზებული არმატურის მოცულობამ დაახლოებით 10 მლნ. ლარით გადააჭარბა 2017 წლისას. 2018-ში შემცირდა მიმდინარე ვალდებულებებიც. შედეგად, მიმდინარე აქტივების ზრდისა და მოკლევადიანი ვალდებულებების შემცირების გამო გაიზარდა საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი.

2.2 წარმოების მოცულობის, დანახარჯებისა და მოგების ურთიერთკავშირის ანალიზი

მოგების მიზნობრივი მაჩვენებლის მისაღებად საჭიროა გამოსაშვები პროდუქციის რაოდენობის დაგეგმვა. წარმოების მოცულობის დაგეგმვის პროცესში უნდა მოხდეს დანახარჯთა ქცევის გათვალისწინება. გამომშვების სასურველი ოდენობის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია მუდმივი და ცვლადი ხარჯების შესახებ ინფომარციის ქონა, ამისათვის საჭიროა მათი იდენტიფიკაცია. საწარმოო ზედნადები ხარჯები ორივე ტიპის ხარჯს შეიცავს და, შესაბამისად, აუცილებელი ხდება მათი ერთმანეთისგან გამოყოფა.

ნახევრადცვალდი დანახარჯების შემადგენელი მუდმივი და ცვლადი ელემენტების გაანალიზების სხვადასხვა მეთოდი არსებობს. მათგან ორი ძირითადი მეთოდია:

I მინი-მაქსის მეთოდი;

II უმცირეს კვადრატთა რეგრესიული ანალიზი

მინი-მაქსის მეთოდი გულისხმობს დანახარჯების გასაზღვრას საქმიანობის ყველაზე მაღალ და ყველაზე დაბალ დონეებზე.

ერთეულის ცვლადი დანახარჯი =

დანახარჯი საქმიანობის მაღალ დონეზე - დანახარჯი საქმიანობის დაბალ დონეზე

საქმიანობის მაღალი დონე - საქმიანობის დაბალი დონე

მუდმივი ხარჯი = მთლიანი დანახარჯი საქმიანობის დონეზე -

- მთლიანი ცვლადი დანახარჯი

ამ მეთოდის გამოყენებისას შესაფერისად მიიჩნევა დანახარჯთა ქცევის წრფივი მოდელი, ე.ი $y=a+bx$ (2.1), სადაც

y - წარმოების მთლიანი დანახარჯი;

a - წარმოების მუდმივი დანახარჯი;

b - პროდუქციის ერთეულის ცვლადი დანახარჯი;

x - გამოშვებულის მოცულობა ერთეულები

გამოშვების მოცულობასა და მთლიან დანახარჯებს შორის დამოკიდებულების პროგნოზირებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას წრფივი რეგრესიის მეთოდი, რომლის დროსაც მუდმივი (a) და ერთეულის ცვლადი (b) დანახარჯების სიდიდე შემდეგნაირად გამოითვლება:

$$b = \frac{n\sum xy - \sum x \sum y}{n\sum x^2 - (\sum x)^2} \quad (2.2)$$

$$a = \frac{\sum y}{n} - \frac{b\sum x}{n} \quad (2.3)$$

სადაც n შერჩეული ერთეულების რაოდენობაა

ცხრილი 2.3

წარმოებისა და დანახარჯების მაჩვენებლები

შპს „ჯეოსთილი“

წელი	წარმოების მოცულობა(ტონა) x	დანახარჯები (ლარი) y	x ²	x*y
2016	115 237	104 997 436	13279566169	12099589532332
2017	143 320	131 598 921	20540622400	18860757357720
2018	134 653	127 584 624	18131430409	17179652375472
ჯამი	393 210	364 180 981	51951618978	48139999265524

2.3 ცხრილის მონაცემების მიხედვით განვსაზღვროთ შპს „ჯეოსთილის“ მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების სიდიდე წარმოების ერთ ტონაზე წრფივი რეგრესიის მეთოდით:

$$b = \frac{3 \cdot 48139999265524 - 393210 \cdot 364180981}{3 \cdot 51951618978 - (393210)^2} = 983.592 (\text{ლარი})$$

$$a = \frac{364180981}{3} - \frac{983,592 \cdot 393210}{3} = 121\,514\,403 (\text{ლარი})$$

გამოთვლების შედეგად მივიღეთ, რომ წარმოების ერთ ტონაზე ცვლადი დანახარჯის სიდიდე (b) შპს „ჯეოსთილ“-ში 983,592 ლარია, ხოლო წარმოების მუდმივი ხარჯის ოდენობა (a) 121 514 403 ლარს შეადგენს.

წარმოების მთლიანი დანახარჯებიდან მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების გამოყოფა მმართველ რგოლს საშუალებას აძლევს ჩაატარონ საჭირო გამოთვლები მიზნობრივი მოგების მაჩვენებლის მისაღებად.

ზღვრული მოგება და წაუგებლობის წერტილი

წარმოების დაგეგმვისას მენეჯერები განსაზღვრავენ პროდუქციის გამოსაშვებ ერთეულთა რაოდენობას, რომელიც მაქსიმალურ მოგებას მოიტანს, ცვლიან ფასებს ისე,

რომ გაზრდილი დანახარჯები გადაიფაროს, ადგენენ იმას, თუ რამდენით უნდა გაზარდონ წარმოება ფასის უცვლელობის პირობებში და ა.შ აღნიშნული საკითხების შესწავლისა და სწორი გადაწყვეტილებების მიღებისთვის მნიშვნელოვანია დანახარჯთა ქცევისა და წაუგებლობის ანალიზი.

წაუგებლობის წერტილი პროდუქციის გამოშვების იმ რაოდენობის შესაბამისი წერტილია, რომლის დროსაც არც მოგება მიიღება და არც ზარალი, ე.ი წარმოების ამ მოცულობის დროს რეალიზაციიდან ამონაგები და წარმოებასთან დაკავშირებული მთლიანი ხარჯები ერთმანეთის ტოლია.

წონასწორობის წერტილში(წ.წ) ზღვრული მოგება მთლიანი დანახარჯის ტოლია.

$$\text{წ. წ} = \frac{\text{მუდმივი ხარჯები}}{\text{ერთეულის ზღვრული მოგება}} \quad (2.4)$$

ცხრილი 2.4

საწარმოს წარმოების წონასწორობა

შპს „ჯეოსთილი“

2016-2018 წწ

წელი	მუდმივი დანახარჯი (ლარი)	ზღვრული მოგება ერთ ტონაზე (ლარი)	წ.წ
2016	121 514 403	953,90	127 387
2017	121 514 403	1 214,91	100 019
2018	121 514 403	1 469,71	82 679

ზღვრული მოგება = შემოსავალი – ცვლადი დანახარჯი

როგორც 2.4 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, შპს „ჯეოსთილი“-ს წონასწორობის წერტილი სხვადასხვა წელს განსხვავებულია. ამის მიზეზი შემოსავლების ოდენობის ცვლილებაა, რომელმაც გავლენა იქონია ზღვრული მოგების მაჩვენებელზე. შემოსავლების ცვლილება სარეალიზაციო ფასების ცვლილებითაა გამოწვეული.

პროდუქციის მოცულობა სასურველი მოგების მისაღებად ამგვარად განისაზღვრება:

$$\begin{aligned} & \text{მიზნობრივი მოგების მისაღებად საჭირო რეალიზაციის მოცულობა} \\ & = \frac{\text{მუდმივი დანახარჯები} + \text{მიზნობრივი მოგება}}{\text{ერთეული ზღვრული მოგება}} \end{aligned} \quad (2.5)$$

მმართველ რგოლს ესაჭიროება იმის ცოდნაც, თუ რა დონეზე შეიძლება დაეცეს გეგმური წარმოება ფაქტობრივი საქმიანობისას, ისე რომ საწარმომ ზარალი არ მიიღოს. ამისთვის საჭიროა უსაფრთხოების შუალედის (უსაფრთხოების დიაპაზონი) განსაზღვრა:

$$\begin{aligned} & \text{უსაფრთხოების შუალედი (ერთეულებში გამოსახული)} \\ & = \text{გეგმური რეალიზაცია} - \text{წაუგებლობის რეალიზაცია} \end{aligned} \quad (2.6)$$

$$\begin{aligned} & \text{უსაფრთხოების შუალედი (გეგმური ამონაგების მიმართ \%)} \\ & = \frac{(\text{გეგმური რეალიზაცია} - \text{წაუგებლობის რეალიზაცია}) * 100\%}{\text{გეგმური რეალიზაცია}} \end{aligned} \quad (2.7)$$

$$\text{წარმოების უსაფრთხოების კოეფიციენტი (Kუს.)} = \text{უსაფრთხოების დიაპაზონი} / \text{წ.წ} \quad (2.8)$$

წარმოებაში სხვადასხვა სახის რესურსი გამოიყენება. აღნიშნული რესურსები ამოწურვადია და შეზღუდული რაოდენობითაა ბუნებაში. აქედან გამომდინარე, მეწარმეებმა ეს გარემოება უნდა გაითვალისწინონ საქმიანობის დაგეგმვისას და რესურსები მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენონ.

2.3 რენტაბელობის (მომგებიანობის) ანალიზი

საწარმოს ფინანსურ შედეგებზე საუბრისას მოგებასთან ერთად განიხილება რენტაბელობაც (მომგებიანობა). ამ მაჩვენებლით ჩანს, თუ რამდენად ეფექტიანად იყენებს საწარმო წარმოების საშუალებებს. საწარმო მომგებიანია, თუ ყველა სახის დანახარჯის დაფარვის შემდეგ კვლავ იღებს შემოსავალს მოგების სახით. რენტაბელობა შემოსავლიანობის ფარდობით მაჩვენებელს წარმოადგენს და პროცენტებში გამოისახება.

რენტაბელობის განსაზღვრის ზოგადი ფორმულაა:

$$R = \frac{M}{K} \quad (2.9) ,სადაც$$

M - საწარმოს მოგება;

K - მაჩვენებელი, რომლის მიმართაც განისაზღვრება რენტაბელობა

პრაქტიკაში რენტაბელობის სხვადასხვა მაჩვენებელი არსებობს. მათი გაანგარიშება (2.9) ფორმულის პრინციპით ხდება.

წილადის მრიცხველში მოგების ნებისმიერი მაჩვენებელი შეიძლება იყოს:⁵

რენტაბელობა შეიძლება განისაზღვროს შემდეგი მაჩვენებლების მიმართ, ე.ი ფორმულის (2.8) მნიშვნელად შეიძლება გამოყენებულ იქნას:

- საწარმოს აქტივები;
- საკუთარი კაპიტალი;
- პერმანენტული კაპიტალი;

⁵ ჯიქია,მ., 2011, ეკონომიკური ანალიზი,თბილისი:მერიდიანი,გვ.212


- მიმდინარე აქტივები;
- ძირითადი საწარმოო საშუალებები;
- საწარმოო საშუალებები (ძირითადი საწარმოო საშუალებები და მატერიალური მარაგები)
- რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები;
- რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

გრაფიკი 2.1

საწარმოს რენტაბელობის მაჩვენებლები

შპს „ჯეოსთილი“

2016 – 2018 წწ



რენტაბელობის მაჩვენებლები სამ ჯგუფად შეიძლება გაერთიანდეს:

I ჯგუფი: მაჩვენებლები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება შეფასდეს წარმოების დანახარჯების რენტაბელობა;

II ჯგუფი: მაჩვენებლები, რომლითაც ფასდება რეალიზაციის რენტაბელობა;

III ჯგუფი: მაჩვენებლები, რომლითაც ფასდება მთლიანი კაპიტალისა და მისი ცალკეული შემადგენელი ელემენტების ეფექტიანობა

სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისა და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების საფუძველზე, შეიძლება რენტაბელობის ფაქტორული ანალიზის ჩატარება.

ცხრილი 2.5

რენტაბელობის ფაქტორული ანალიზის მონაცემები

შპს „ჯეოსთილი“

2016 – 2018 წწ

(ლარი)

მაჩვენებლები	2018	2017	2016
ამონაგები			
რეალიზაციიდან	174,920,583.00	178,956,816.00	106,869,542.00
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	139,115,856.00	130,276,213.00	82,019,633.00
საერთო მოგება	35,804,727.00	48,680,603.00	24,849,909.00
კომერციული ხარჯი	1,993,348.00	3,953,831.00	2,440,692.00
მმართველობით ხარჯი	8,692,838.00	10,713,857.00	8,134,888.00
საოპერაციო მოგება	25,118,541.00	34,012,915.00	14,274,329.00

რენტაბელობის მაჩვენებლების ფაქტორული ანალიზისთვის შემდეგი მოდელი გამოიყენება:

$$R = \frac{A-C-K-Z}{A} \quad (2.10), \text{ სადაც}$$

A - შემოსავალი რეალიზაციიდან;

C - რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება;

K - კომერციული ხარჯები;

Z - მმართველობითი ხარჯები

0 და 1 - საბაზისო და საანგარიშგებო პერიოდების აღმნიშვნელი ინდექსები

2.5 ცხრილში არსებული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია შპს „ჯეოსთილი“-ს რენტაბელობის დონის განსაზღვრა 2017-2018 წლებში.

2018 წელს რეალიზაციიდან რენტაბელობის დონე 2017 წელთან შედარებით შემცირებულია 4.65%-ით:

$$\Delta R = R_1 - R_0 = \frac{25118541}{174920583} - \frac{34012915}{178956816} = 0,1436 - 0,1901 = -0,0465$$

ე.ი რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის ყოველ ერთ ლარს საოპერაციო მოგების 4.65%-ით ნაკლები წილი შეესაბამება 2018 წელს 2017 წელთან შედარებით. განვიხილოთ რა გავლენა მოახდინა ცალკეულმა ფაქტორებმა რენტაბელობის დონის გადახრაზე:

პირველი ფაქტორი: რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების მოცულობის ცვლილება:

$$\Delta R_1 = \frac{A_1 - C_0 - K_0 - Z_0}{A_1} - \frac{A_0 - C_0 - K_0 - Z_0}{A_0} = 0,1714 - 0,1901 = -0,0187$$

2017 წელთან შედარებით 2018 წლის ამონაგების თანხის შემცირებამ რეალიზაციის რენტაბელობის დონე 1.87%-ით შეამცირა.

მეორე ფაქტორი: რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ცვლილება:

$$\Delta R_2 = \frac{A_1 - C_1 - K_0 - Z_0}{A_1} - \frac{A_1 - C_0 - K_0 - Z_0}{A_1} = 0,1208 - 0,1714 = -0,0506$$

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება გაზრდილია 2018-ში საბაზისო წელთან შედარებით. ამან რეალიზაციის რენტაბელობა 5.06%-ით შეამცირა.

მესამე ფაქტორი: კომერციული ხარჯების დონის ცვლილება:

$$\Delta R_3 = \frac{A_1 - C_1 - K_1 - Z_0}{A_1} - \frac{A_1 - C_1 - K_0 - Z_0}{A_1} = 0,1320 - 0,1208 = 0,0112$$

როგორც ცხრილის(2.5) მონაცემებიდან ჩანს, საანგარიშგებო პერიოდის (2018 წელი) კომერციული ხარჯები შემცირებულია, რაც რენტაბელობის დონის 1.12%-ით გაზრდის მიზეზია.

მეოთხე ფაქტორი: მმართველობითი ხარჯების დონის ცვლილება:

$$\Delta R_4 = \frac{A_1 - C_1 - K_1 - Z_1}{A_1} - \frac{A_1 - C_1 - K_1 - Z_0}{A_1} = 0,1436 - 0,1320 = 0,0116$$

2017 წელთან შედარებით შემცირებულია მმართველობითი ხარჯებიც, რის გამოც რენტაბელობის დონე 11.6%-ით გაიზარდა.

ოთხივე ფაქტორის ერთობლივი გავლენა:

$$\Delta R = \Delta R_1 + \Delta R_2 + \Delta R_3 + \Delta R_4 = -0.0187 + (-0.0506) + 0.0112 + 0.0116 = -0.0465$$

2017 წელს რეალიზაციიდან რენტაბელობის დონე საბაზისო 2016 წელთან შედარებით გაზრდილია 5.65%-ით:

$$\Delta R = R_1 - R_0 = \frac{34012915}{178956816} - \frac{14274329}{106869542} = 0,1901 - 0,1336 = 0,0565$$

ანალოგიური გამოთვლების საფუძველზე გვაქვს შემდეგი მონაცემები (2016-2017წწ):

პირველი ფაქტორის გავლენა: $\Delta R_1 = 0,4826 - 0,1336 = 0,349$

მეორე ფაქტორის გავლენა: $\Delta R_2 = 0,2129 - 0,4826 = -0,2697$

მესამე ფაქტორის გავლენა: $\Delta R_3 = 0,2045 - 0,2129 = -0,0084$


მეოთხე ფაქტორის გავლენა: $\Delta R_4 = 0,1901 - 0,2045 = -0,0144$

$$\Delta R = \Delta R_1 + \Delta R_2 + \Delta R_3 + \Delta R_4 = 0,349 + (-0,2697) + (-0,0084) + (-0,0144) \\ = 0,0565$$

რეალიზაციის რენტაბელობა

შპს „ჯეოსთილი“

2017 – 2018 წწ



საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის ანალიზი

საწარმოს საკუთარი კაპიტალის რენტაბელობაზე გავლენას ახდენს სამეურნეო და ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტორები. ცალკეული ფაქტორის გავლენის შესაფასებლად გამოიყენება „დუპონის ფორმულების“ სახელით ცნობილი ფაქტორული მოდელი.

საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის განსაზღვრისთვის შემდეგი ფორმულა გამოიყენება:

$$R_{ck} = \frac{M}{C_k} \quad (2.11)$$

მათემატიკური გარდაქმნებითი მივიღებთ, რომ:

$$R_{ck} = \frac{M}{C_k} * \frac{A}{A} * \frac{V}{V} = \frac{M}{V} * \frac{V}{A} * \frac{A}{C_k} = R_P * B_a * K_F \quad (2.12)$$

$$K_F = \frac{A}{C_k} = \frac{C_k + N_k}{C_k} = 1 + \frac{N_k}{C_k} \quad (2.13)$$

სადაც,

R_{ck} - საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა;

M - პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება;

A - აქტივების ღირებულება;

V - შემოსავალი რეალიზაციიდან;

C_k - საკუთარი კაპიტალის ღირებულება;

N_k - ნასესხები კაპიტალის ღირებულება;

R_P - რეალიზებული პროდუქციის ღირებულება;


B_a - აქტივების ბრუნვალობა;

K_F - ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი

გრაფიკი 2.3

საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა

შპს „ჯეოსთილი“



როგორც 2.3 გრაფიკიდან ვგებულობთ, შპს „ჯეოსთილი“-ს საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებელი 2018 წელს შემცირებულია 3.86%-ით, საბაზისო 2016 წელთან შედარებით. 2017 წელს კი 10.94% - ით გაზრდილია ეს მაჩვენებელი 2016-თან შედარებით.

ცხრილი 2.6

საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის ფაქტორული ანალიზი

შპს „ჯეოსთილი“

2016 -2018 წწ

	2016	2017	გადაზრა 2017	2018	გადაზრა 2018
პროდუქციის რენტაბელობა	23.26%	27.20%	3.94%	20.47%	-2.79%
აქტივების ბრუნვალობა	82.81%	110.24%	17.43%	100.40%	17.59%

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი	1.42	1.277	-0.143	1.143	-0.277
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა	27.35%	38.29%	10.94%	23.49%	-3.86%

რენტაბელობის სამფაქტორიანი მოდელის საფუძველზე განვიხილეთ საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დონის ცვლილება 2017 და 2018 წლებში საბაზისო 2016 წელთან შედარებით და განვსაზღვრეთ ცალკეული ფაქტორების გავლენა მთლიან გადახრაზე. აღნიშნული გაანგარიშების შედეგები 2.6 ცხრილშია წარმოდგენილი, რომლის საფუძველზეც შემდეგი დასკვნების გაკეთება შეგვიძლია:

2018 წელს საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დონე 3,86%-ით შემცირდა 2016 წელთან შედარებით. 2018 წლის საერთო მოგებისა და საკუთარი კაპიტალის ღირებულების მაჩვენებლები საბაზისო წელთან შედარებით გაზრდილია, თუმცა საკუთარი კაპიტალის ღირებულება პროცენტულად უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება, რასაც შედეგად საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებლის შემცირება მოყვა.

საანგარიშო წელს პროდუქციის რენტაბელობის 2,79%-ით შემცირებამ საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებელი 3,28%-ით შეამცირა;

აქტივების ბრუნვაობის დაჩქარებამ საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა 5,11%-ით გაზარდა;

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი, რომელიც აქტივებისა და საკუთარი კაპიტალის შეფარდებით განიზაღვრება და გვიჩვენებს საკუთარი კაპიტალის ყოველ ერთ ლარს მთლიანი აქტივების რამდენი ლარი შეესაბამება, 2018-ში შემცირებულია 1,42-დან 1,143-მდე. საანალიზო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მონაცემების მიხედვით, საანგარიშგებო წელს აქტივების მოცულობა გაზრდილია საბაზისოსთან შედარებით, თუმცა ამ აქტივების ძირითადი ნაწილი, კერძოდ, 87,48% საკუთარი კაპიტალითაა დაფინანსებული. შესაბამისად, ვალდებულებებზე მთლიანი აქტივების მხოლოდ 12,52% მოდის. საანგარიშგებო 2018 წელს, საწარმოს არ გააჩნია

გრძელვადიანი ვალდებულებები და მიმდინარე ვალდებულებების ოდენობა 21 810 849 ლარს შეადგენს. რაც შეეხება საბაზისო 2016 წელს, ვალდებულებების მთლიანი ოდენობა 38 221 282 ლარით განისაზღვრება და მის ძირითად ნაწილს, 24 255 221 ლარს, აღებული სესხები შეადგენს. 2016 წლის აქტივების 29,61% ნასესხები საშუალებებითაა დაფინანსებული. შესაბამისად, საბაზისო წელს შპს „ჯეოსთილი“ უფრო მეტად იყო დამოკიდებული კრედიტორებზე, ვიდრე 2018 წელს. ფინანსური დამოკიდებულების აღნიშნულმა შემცირებამ საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა 5,69%-ით შეამცირა.

სამივე ფაქტორმა ერთობლიობაში საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის 3,86%-ით კლება გამოიწვია.

საწარმოს მომგებიანობის ანალიზისას მნიშვნელოვანია შემდეგი კოეფიციენტების განსაზღვრა:

$$\text{აქტივების მომგებიანობა} = \frac{\text{წლიური მოგება}}{\text{აქტივები}} * 100\% \quad (2.14)$$

ცხრილი 2.7

აქტივების საერთო მომგებიანობის მონაცემები

შპს „ჯეოსთილი“

(ლარი)

	2016	2017	2018
მოგება			
დაბეგვრამდე	9,347,046	36,279,898	25,801,093
აქტივები			
	129,067,226	162,338,532	174,268,257
აქტივების მომგებიანობა	7.24%	22.35%	14.81%

აქტივების მომგებიანობა საწარმოს რენტაბელობის ზოგადი მაჩვენებელია და განსაზღვრავს, აქტივების ყოველ ერთ ლარზე წლიური მოგების პროცენტულ წილს.

2.7 ცხრილის მონაცემების მიხედვით, 2016 წელთან შედარებით მომდევნო ორი წლის განმავლობაში საწარმოს აქტივების ყოველ ერთ ლარს უფრო მეტი მოგება მოაქვს. 2018 წელს აქტივების ყოველ ერთ ლარზე საწარმო 14,81% მოგებას იღებს. საბაზისო წელთან შედარებით გაზრდილია, როგორც წლიური მოგება, ისე აქტივების ღირებულება, ამასთან, წლიური მოგება პროცენტულად უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე აქტივები და, შესაბამისად, კოეფიციენტის მნიშვნელობაც გაიზარდა. საანალიზო სამი წლის მიხედვით, ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი 2017 წელსაა. წინა წელთან შედარებით დაახლოებით სამჯერ გაიზარდა აქტივების მომგებიანობა. ამის მთავარი მიზეზი რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების ზრდაა. კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები 2017 წელს 1.7-ჯერ აღემატება 2016 წლისას.

მიუხედავად იმისა, რომ საბაზისო წელთან შედარებით 2018 წლის აქტივების მომგებიანობა გაუმჯობესებულია, ის ჩამორჩება 2017 წლის მაჩვენებელს. 2018 წელს შემცირდა მოგება დაბეგვრამდე. ამ შემცირების მთავარი მიზეზი რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვანი ზრდაა, სხვა დანარჩენი ხარჯისა და მიღებული შემოსავლის ოდენობა მკვეთრად არ განსხვავდება წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლებისგან. 2018 წელს გაიზარდა კოეფიციენტის მნიშვნელობა - აქტივების ღირებულება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აქტივების ზრდა მარაგების მნიშვნელოვანი ზრდითაა გამოწვეული. ფული და ფულის ექვივალენტები, პირიქით, შემცირებულია. მთლიანი აქტივების დანარჩენი კომპონენტები უმნიშვნელოდ შეიცვალა. აქტივების ღირებულების ზრდამ და წლიური მოგების შემცირებამ, 2018 წლის აქტივები ნაკლებად მომგებიანი გახადა წინა წელთან შედარებით.

$$\text{საკუთარი კაპიტალის უკუგება (ROE)} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} * 100\%$$

(2.15)

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს წმინდა მოგების რამდენი პროცენტი მოდის საწარმოს საკუთარ კაპიტალზე. მიღებულია, რომ მისი მნიშვნელობა 15%-20% - ს შორის იყოს, თუმცა ეს მაინც საქმიანობის სფეროს თავისებურებებზეა დამოკიდებული.

$$ROCE = \frac{\text{საოპერაციო მოგება}}{\text{აქტივები - მოკლევადიანი ვალდებულებები}} * 100\%$$

(2.16)

ეს კოეფიციენტი ახასიათებს აქტივების მომგებიანობას საკუთარი და გრძელვადიანი ვალდებულებებით მოზიდულ სახსრებზე. დინამიკაში ამ მაჩვენებლის ზრდა კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის ზრდას ნიშნავს.

განვსაზღვროთ ROE და ROCE კოეფიციენტების მნიშვნელობები საანალიზო საწარმოსთვის:

ცხრილი 2.8

შპს „ჯეოსთილი“-ს ROE და ROCE

2016 – 2018 წწ. (ლარი)

მაჩვენებლები	2016	2017	2018
წმინდა მოგება	7,994,989	36,279,989	25,801,093
საოპერაციო მოგება	14,274,329	34,012,915	25,118,541
საკუთარი კაპიტალი	90,845,944	127,125,933	152,457,408
აქტივები	129,067,226	162,338,532	174,268,257
მოკლევადიანი ვალდებულებები	21,810,849	23,643,201	20,501,653
ROE (%)	8.80%	28.54%	16.92%
ROCE(%)	13.31%	24.52%	16.34%

როგორც ცხრილიდან ვხედავთ, ორივე კოეფიციენტი გაზრდილია 2018 წელს საბაზისო წელთან შედარებით, რაც წმინდა და საოპერაციო მოგების ზრდითაა გამოწვეული. ROE და ROCE კოეფიციენტების მნიშვნელობები საანალიზო სამი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი 2017 წელსაა. 2016 წელთან შედარებით 2017 წლის წმინდა და საოპერაციო მოგების მაჩვენებლები, შესაბამისად, 353,8%-ითა და 138,3%-ითაა გაზრდილი. აღნიშნული მკვეთრი ზრდის მიზეზი გაყიდვების მნიშვნელოვანი ზრდაა. ქართულ ბაზარზე მდგომარეობა გაუმჯობესდა და გაიზარდა მოთხოვნილება არმატურაზე და სხვა სამშენებლო მასალებზე. 2018 წელს წინა წელთან შედარებით იკლო გაყიდვებმა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2018 წლის აპრილში დაიწყო ირანული არმატურის იმპორტი დემპინგურ ფასად, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მოთხოვნა ქართული წარმოების ალმატურაზე. შედეგად, შემცირდა რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები და, შესაბამისად, წმინდა და საოპერაციო მოგების მაჩვენებლებიც. ამან ROE და ROCE კოეფიციენტების მნიშვნელობის კლება გამოიწვია.

ასევე, შეიძლება განვსაზღვროთ საოპერაციო ხარჯების მომგებიანობაც:

$$\text{საოპერაციო ხარჯების მომგებიანობა} = \frac{\text{საოპერაციო მოგება}}{\text{საოპერაციო ხარჯები}} * 100\% \quad (2.17)$$

ცხრილი 2.9

საოპერაციო ხარჯების მომგებიანობის მონაცემები

შპს „ჯეოსთილი“

2016 – 2018 წწ (ლარი)

მაჩვენებელი	2016	2017	2018
საოპერაციო მოგება	14,274,329	34,012,915	25,118,541
საოპერაციო ხარჯი	91,755,543	139,699,140	150,233,444
საოპერაციო ხარჯის მომგებიანობა (%)	15.56%	24.35%	16.72%

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს საოპერაციო ხარჯების ყოველ ერთ ლარს რამდენი პროცენტი მოგება მოაქვს. ცხრილის მონაცემების მიხედვით საბაზისო 2016 წელთან შედარებით მომდევნო ორი წლის მაჩვენებლები გაუმჯობესებულია. 2017 – 2018 - ში იზრდება, როგორც საოპერაციო მოგება, ისე საოპერაციო ხარჯები, თუმცა საოპერაციო მოგების პროცენტული ზრდა აღემატება საოპერაციო ხარჯების პროცენტულ ზრდას, რაც დანახარჯის ყოველ ერთ ლარს უფრო მომგებიანს ხდის.

განვსაზღვროთ საერთო მოგებისა და საოპერაციო მოგების მარჟა:

ცხრილი 2.10

საერთო მოგებისა და საოპერაციო მოგების მარჟა

შპს „ჯეოსთილი“

2016 – 2018 წწ

მაჩვენებელი	2016	2017	2018
საერთო მოგების მარჟა	23.25%	27.20%	20.47%
საოპერაციო მოგების მარჟა	13.36%	19.00%	14.36%

მოგების მარჟა გვიჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ შემოსავალზე. 2017 წელს იზრდება ორივე სახის მარჟა, რაც დადებითი მოვლენაა და ხარჯების ეფექტიან მართვაზე მიუთითებს. რაც შეეხება 2018 წელს, საერთო მოგების მარჟა შემცირებულია, ამის მიზეზი ნედლეულზე ფასების ზრდაა, რამაც წარმოების ხარჯები გაზარდა. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემცირდა საანალიზო საწარმოს პროდუქციაზე მოთხოვნა და, შესაბამისად, გაყიდვებიდან მიღებული თანხები. ამ ყოველივემ შემოსავლის ყოველი ერთი ლარი ნაკლებად მომგებიანი გახადა.

რენტაბელობის კოეფიციენტების გაანალიზება და ანალიზი მნიშვნელოვანია. მისი საშუალებით მენეჯერები აფასებენ ცალკეული რესურსების მომგებიანობას და წარმოების პროცესს უფრო ეფექტიანად გეგმავენ.

დასკვნა

შპს „ჯეოსთილი“-ს მაგალითზე ჩატარებული თეორიული თუ პრაქტიკული კვლევების საფუძველზე გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და წარმოების დანახარჯებსა და საბოლოო ფინანსურ შედეგებს შორის კავშირზე. სამაგისტრო ნაშრომის პირველი თავი მთლიანად თეორიულ ნაწილს დაეთმო. ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია დანახარჯების ცნება და მისი სახეები, ასევე, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების გამოთვლის მეთოდიკა და პრინციპები.

წარმოების დანახარჯები, საქმიანობის სპეციფიკიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ნიშნის მიხედვით შეიძლება დაჯგუფდეს. დანახარჯთა ამგვარ დაჯგუფებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ეს მმართველ რგოლს საშუალებას აძლევს ადეკვატურად და მაქსიმალური სიზუსტით შეაფასოს საქმიანობასთან დაკავშირებული მთლიანი ხარჯები, დაგეგმოს მისი ოპტიმალური მოცულობა და დანახარჯების ეფექტიანად მართვა შეძლოს. დანახარჯთა კლასიფიკაცია წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების სწორად განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

წინამდებარე ნაშრომის თეორიულ ნაწილში ვნახეთ, რომ სხვადასხვა მეთოდი შეიძლება იქნეს გამოყენებული წარმოებული პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების კალკულაციისას.

ასევე, გაავანალიზეთ ერთი ლარის რეალიზებულ პროდუქციაზე დანახარჯები და განვსაზღვრეთ ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც ამ მაჩვენებლის ცვლილება შეიძლება გამოიწვიოს.

ნაშრომის მეორე ნაწილი ბიზნეს საქმიანობის ფინანსური შედეგების ანალიზს ეთმობა. სამშენებლო მასალების მწარმოებელი კომპანიის - შპს „ჯეოსთილი“-ს საანალიზო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე სხვადასხვა გამოთვლები ჩავატარეთ და შევაფასეთ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა. საანალიზო პერიოდად 2016 – 2018 წლები იქნა შერჩეული. სამივე წელი კომპანიამ დადებითი ფინანსური შედეგით დაასრულა.

კომპანიის დანახარჯები 2016-2017-2018 წლებში დინამიკაში ზრდადია და ზრდის ტემპი, შესაბამისად, 50,80%-სა და 61,65%-ს შეადგენს, საბაზისო 2016 წელს დანახარჯებთან მიმართებაში. 2017 და 2018 წლებში დანახარჯთა სტრუქტურაში გაზრდილია იმ ხარჯების მოცულობა, რომლების უშუალოდ მონაწილეობს პროდუქციის თვითღირებულებაში. 2017-ში აღნიშნული ზრდის მიზეზი გაყიდვების მოცულობის ზრდაა. ამ წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა შპს „ჯეოსთილი“-ს პროდუქციაზე მოთხოვნა. მოთხოვნის ზრდის კვალდაკვალ გაიზარდა წარმოებული პროდუქციის მოცულობაც, რამაც, ბუნებრივია, წარმოების დანახარჯების მთლიანი ოდენობა გაზარდა. 2018 წელს არმატურაზე და სხვა სამშენებლო მასალებზე მოთხოვნამ იკლო წინა წელთან შედარებით (თუმცა ის მაინც აღემატება 2016 წლისას). ამის მთავარი მიზეზი ირანისა და სხვა ქვეყნების მიერ სამშენებლო მასალების დემპინგურ ფასად გაყიდვაა. ბუნებრივია, რომ წარმოების მოცულობაც შემცირდა, კერძოდ, 143 320 ტონიდან 134 653 ტონამდე. ამასთან, რეალიზებული პროდუქციის მთლიანმა თვითღირებულებამ მაინც გადააჭარმა 2017 წლის მაჩვენებელს. ამის მიზეზი მასალებზე ფასების ზრდაა. 2018 წელს კომპანიას წარმოება უფრო ძვირი უჯდებოდა, ვიდრე 2017 წელს.

საანალიზო სამივე წელს შპს „ჯეოსთილი“ მომგებიანია. 2017 წელს საერთო მოგება საბაზისოსთან შედარებით 1,96-ჯერ გაზარდა. როგორც უკვე ვისაუბრეთ, ამის მიზეზი გაყიდვების მოცულობის ზრდაა. პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდამ წონასწორული საბაზრო ფასიც გაზარდა 953,9 ლარიდან 1 214,91 ლარამდე (1ტონაზე), გაყიდვების ოდებონა კი 112 034 ტონიდან 147 301 ტონამდე გაიზარდა, შედეგად, ამონაგების მოცულობა 2017-ში 67,45%-ით გაიზარდა. რაც შეეხება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას, ამ მაჩვენებლის სიდიდე 58,84%-ით გაიზარდა. საბოლოოდ, ამონაგებსა და გაყიდვების დანახარჯებს შორის სხვაობამ (საერთო მოგება) 95,9%-ით მოიმატა 2017-ში წინა წელთან შედარებით. 2018 წელს რეალიზაცია 119 017 ტონამდე შემცირდა, ექსპორტის მოცულობამაც იკლო. შპს „ჯეოსთილი“-ს პროდუქციის გასაღების ძირითადი ბაზრებია საქართველო და მეზობელი ქვეყნები - თურქეთი და აზერბაიჯანი. 2018-ში თურქული ლირის კურსის ვარდნამ თურქეთისთვის გააძვირა

საქართველოდან იმპორტირებული სამშენებლო მასალების ღირებულება, შესაბამისად, შპს „ჯეოსთილს“ შეუმცირდა ექსპორტის მოცულობა.

2016 წელთან შედარებით საერთო მოგების მაჩვენებელი გაუმჯობესებულია 2017 და 2018 წლებში, შესაბამისად, 23 830 694 და 10 954 818 ლარით. კვლევის ფარგლებში ჩატარებული საერთო მოგების ფაქტორული ანალიზიდან დავადგინეთ, თუ რა გავლენა იქონია ცალკეულმა ფაქტორებმა მთლიან გადახრაზე. 2018 წელს ერთი ტონა არმატურის სარეალიზაციო ფასმა 22,3%-ით მოიმატა (953,90 ლარიდან 1169,71 ლამდე გაიზარდა). ფასის ზრდის მიზეზი წარმოებაზე დანახარჯების ზრდაა. პროდუქციის სარეალიზაციო ფასის ცვლილების შედეგად (დანარჩენი ხუთი ფაქტორის უგულვებელყოფის შემთხვევაში) საერთო მოგება 2016 წელთან შედარებით 61 390 159 ლარით გაიზარდებოდა. მეორე ფაქტორი, რამაც თანხობრივად მნიშვნელოვნად შეამცირა 2018 წლის საერთო მოგება პროდუქციის ერთეულზე რესურსების დანახარჯების მოცულობის ცვლილებაა. აღნიშნული ფაქტორის გავლენით საერთო მოგება 43 847 302 ლარით შემცირდა.

კომპანიას წარმოებისთვის საჭირო ნედლეული ძირითადად ინდოეთიდან შემოაქვს. შპს „ჯეოსთილი“ თუ შეძლებს აღნიშნული ნედლეულისა და მასალების ადგილზე წარმოებას, ამით დანახარჯებს კიდევ უფრო შეამცირებს და გაზრდის მოგებას. ამ გზით ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შესაძლო ზარალსაც აიცილებს თავიდან. მით უმეტეს, რომ ბოლო პერიოდის ტენდენციით ლარი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად უფასურდება და იმპორტის ღირებულება ლარებში იზრდება. წარმოების დანახარჯების ზრდის გამო იზრდება სარეალიზაციო ფასი და შესაბამისად, მცირდება კომპანიის პროდუქციაზე მოთხოვნა.

შპს „ჯეოსთილის“ პროდუქციის გასაღების ძირითად ბაზარს საქართველო წარმოადგენს. ექსპორტზე მთლიანი წარმოების დაახლოებით 20% გააქვთ. ქვეყანაში შექმნილმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ და მოსალოდნელმა დაბალმა ეკონომიკურმა ზრდამ შესაძლოა გეგმურთან შედარებით უფრო დაბალი რეალიზაცია გამოიწვიოს. ამდენად, მნიშვნელოვანია ალტერნატიული ბაზრების მოძიება და ექსპორტის გაფართოება.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კომპანიას EBRD-ისგან 2017 წელს ვალუტაში აქვს აღებული სესხი, რომელიც 18 მლნ ლარის ექვივალენტურია. ფინანსურ ბაზრებზე სავალუტო კურსების რყევებმა, შესაძლოა, გავლენა იქონიოს სესხის მომსახურებაზე. აღნიშნული რისკის მინიმიზაციისთვის კომპანიამ სავალუტო კურსების ჰეჯირება უნდა მოახდინოს.

ნაშრომში განხილულია ერთი ლარის რეალიზაციაზე დანახარჯების მოცულობის ცვლილების ფაქტორული ანალიზი. შპს „ჯეოსთილის“ ფინანსური მონაცემების მიხედვით, 2018 წლის ერთი ლარის რეალიზაციაზე დანახარჯების ოდენობა (0,794 ლარი) 0,068 ლარით აღემატება 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (0,726 ლარი). განვსაზღვრეთ გადახრაზე მოქმედი ოთხი ძირითადი ფაქტორი ფაქტორი. მათგან ორი ფაქტორის - სარეალიზაციო ფასის ცვლილებისა და ცალკეული სახეობის პროდუქციაზე თვითღირებულების ცვლილების გავლენა ყველა მაღალია. 2018 წელს სარეალიზაციო ფასის ზრდის გამო საერთო თვითღირებულების ამონაგებთან თანაფარდობის მაჩვენებელი შემცირდა, ამან ერთი ლარის რეალიზაციაზე დანახარჯები 18,5 თეთრით შეამცირა. როგორც აღვნიშნეთ, 2018 წელს რესურსებზე დასების ზრდის გამო, კომპანიას საქმიანობა უფრო ძვირი უჯდება. ამან, ბუნებრივია, გაზარდა ყველა სახის პროდუქციაზე მოთხოვნა - გაიზარდა ერთი ლარის რეალიზაციაზე მისაკუცვენებელი დანახარჯების მოცულობაც (18,3 ლარით). სტრუქტურული ცვლილებები გაყიდვების სემადგენლობაში თითქმის არ მომხდარა, შესაბამისად, ამ ფაქტორის გავლენა უმნიშვნელოა.

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა შპს „ჯეოსთილის“ რენტაბელობის დონე. 2018 წლის რენტაბელობის დონე წინა წლის მაჩვენებელს 4,65%-ით ჩამორჩება. ფაქტორულ ანალიზით დავადგინეთ თუ რა როლი ითამაშა ცალკეულმა მოვლენებმა მთლიან გადახრაზე. რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების შემცირებამ (რაც, თავის მხრივ, გაყიდვების შემცირებამ განაპირობა) საანგარიშგებო წლის მომგებიანობა 1,87%-ით შეამცირა. რეალიზებულ პროდუქციაზე გაწეულმა წარმოების დანახარჯების ზრდამ რენტაბელობა 5,06%-ით შეამცირა. რაც შეეხება კომერციულ და საერთო მმართველობით დანახარჯებს, 2018-ში მათი მოცულობა შემცირებულია, რამაც,

ბუნებრივია, რენტაბელობის დონეზე დადებითი გავლენა იქონია და მისი დონე, შესაბამისად, 1,12% და 11,6%-ით გაზარდა.

საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა 2018-ში შემცირებულია საბაზისო 2016 წელთან შედარებით 3,86%-ით. ეს პროდუქციის რენტაბელობის დონის შემცირებამ გამოიწვია. შემოსავლის ყოველ ერთ ლარს 2,79%-ით ნაკლები მოგება მოქონდა. მიუხედავად იმისა, რომ 2018-ში საბაზისოსთან შედარებით გაიზარდა, როგორც გაყიდული მასალების რაოდენობა (ტონებში), ისე რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები და საერთო მოგების ოდენობა, წარმოების ნედლეულზე ფასების ზრდის გამო მოგების მაჩვენებელი პროპორციულად უფრო ნაკლებად გაიზარდა, ვიდრე შემოსავალი რეალიზაციიდან. შედეგად, მოგებასა და შემოსავლებს შორის თანაფარდობის მნიშვნელობა (პროდუქციის რენტაბელობა) შემცირდა. 2017 წელი საწარმოსთვის განსაკუთრებულად წარმატებული იყო და ეს ყველა კოეფიციენტის მნიშვნელობაზე აისახა. 2017 წლის საკუთარი კაპიტალი 10,94%-ით უფრო მომგებიანი იყო წინა წელთან შედარებით. ამ მაჩვენებლის გაუმჯობესების მთავარი მიზეზი აქტივების ბრუნვალობის დაჩქარებაა. 2017-ში გაიზარდა გაყიდული სამშენებლო მასალების რაოდენობა და სარეალიზაციო ფასი, რამაც შემოსავლები დაახლოებით 72 მილიონი ლარით გაზარდა. რაც შეეხება აქტივებს, ფულისა და ფულის ექვივალენტების ოდენობა დაახ. 35 მლნ-ით გაიზარდა, აქტივების სხვა კომპონენტებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. შედეგად, შემოსავლები პროპორციულად უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე აქტივების მოცულობა და ამან ერთი ლარის აქტივზე მისაკუთვნიებული შემოსავლის ოდენობის ზრდა გამოიწვია - დაჩქარდა აქტივების ბრუნვალობა.

ROE და ROCE კოეფიციენტები გაუმჯობესებულია 2017-2018 წლებში საბაზისო 2016-თან შედარებით. ეს გამოწვეულია წმინდა და საოპერაციო მოგების მნიშვნელოვანი ზრდით. ROE 2017-ში 19,74%-ით გაიზარდა, 2018-ში კი 8,12%-ით. ROCE კოეფიციენტი 11,21%-ითა და 3,03%-ითაა გაზრდილი 2017-2018 წლებში 2016-თან შედარებით.

2016 წელთან შედარებით მომდევნო ორი წლის საოპერაციო ხარჯები უფრო მეტი ეფექტიანობით დაიგეგმა, რამაც საოპერაციო ხარჯების მომგებიანობა გაზარდა.

შპს „ჯეოსთილის“ მოგება-ზარალის ანგარიშგების მონაცემებიდან ჩანს, რომ საანალიზო პერიოდში კომპანია აუმჯობესებს საოპერაციო მოგების მარჟას (საბაზისო

წელთან შედარებით). ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა 2017 წელს 19% და 2018-ში 14,36% იყო. ეს კომპანიის ხარჯებისა და შემოსავლების მართვის ეფექტიანობაზე მიუთითებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბოჭორიშვილი, ლ., ბებიაშვილი, ნ., 2009, ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები, თბილისი;
2. თეთრუაშვილი, მ., თეთრუაშვილი, ი., ფინანსური მენეჯმენტი, 2007, გორი: შიდა ქართლის საერო უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრი;
3. ინგოროყვა, ა., ხამთაძე, გ., ცაავა, გ., ფინანსური მენეჯმენტი, 2011, თბილისი;
4. კვატაშიძე, ნ., ხორავა, ა., გოგრიჭიანი, ზ., ფინანსური ანგარიშგება, თბილისი;
5. ლიბარტია, ზ., გვარამია, ნ., ჩანჩავა, ე., 2007, ეკონომიკური ანალიზი, თბილისი: უნივერსალი;
6. ლოხუანიძე, ვ., 2007, მოგვიტანს ბიზნესი მოგებას?, თბილისი : ლამპარი;
7. მელიქიძე, ც., ლომიძე, ნ., 2016, ბუღალტერია ბიზნესში, თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა;
8. ტყეშელაშვილი, გ., კიწმარიშვილი, ქ., კილაძე, თ., ქოქოლაძე, თ., ეკონომიკური ანალიზი, 2012, თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი;
9. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები, 2010, IFRS Foundation;
10. ქიტაშვილი-კვაჭანტირაძე, ა., 2019, ეკონომიკური ანალიზი, თბილისი;
11. ცირამუა, ე., 1999, სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი, თბილისი
12. ჭილაძე, ი., 2017, ფინანსური ანალიზი, თბილისი: მერანი;

13. ჭილაძე, ი., 2016, მმართველობითი აღრიცხვა, თბილისი:მერიდიანი;
14. ჭილაძე, ი., 2009, დანახარჯთა აღრიცხვის სისტემები, თბილისი:მერანი;
15. ჭილაძე, ი., ნორმატიული საწარმოო ზედნადები ხარჯების აღრიცხვის სრულყოფის საკითხები, 2014, თბილისი;
16. ხარაბაძე, ე., 2012, ფინანსური აღრიცხვა, თბილისი: მერიდიანი;
17. ხარაბაძე, ე., 2012, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, თბილისი:უნივერსალი;
18. ჯიქია, მ., 2011, ეკონომიკური ანალიზი, თბილისი:მერიდიანი;
19. ჰასიდი,ჯ ., 2009, მეწარმეობის თეორიული საფუძვლები, თბილისი:უნივერსიტეტის გამომცემლობა;
20. ACCA F2 -Accounting for Management, 2017;
21. ACCA F5 -Performance Management, 2017;
22. Arnold G., Davies M., (2000), Value-based Management;
23. Downes Y., Goodman E.Y., (2014), Dictionary of Finance and Investment Terms;
24. Howard A. Frank., (2006), Public financial management;
25. Lowrence J. G., 2009, Principles of Managerial Finance;
26. Pamela P. P., Frank J.F.,2003, Analysis Of Financial Statement;
27. Steven M. B., Financial analyzis, 2007;
28. Sharan, 2008, Fundamentals of Financial Management., India: Pearson Education;
29. Vyuptakesh Sh., (2009), Fundamentals of Financial Management, Delhi;
30. შპს „ჯეოსთილის“ ფინანსური ანგარიშგებები, <https://reportal.ge/>;
31. შპს „ჯეოსთილის“ ოფიციალური ვებ-გვერდი, <http://geosteel.com.ge/>

დანართი 1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Economics and Business



Tamar Egriselashvili

Analysis of the interaction of production expenses and financial results
on the example of GeoSteel LLC

Master's Program: Business Administration

The work is done to obtain the academic degree of Master of Business
Administration

The head: Merab Jikia

TSU Associate professor

დანართი 2

შპს „ჯეოსთილი“

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
მორითადი საშუალებები	5	50,591,939	54,854,385
არამატერიალური აქტივები	5	118,947	166,911
სულ გრძელვადიანი აქტივები		50,710,886	55,021,296
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	49,583,629	44,260,921
საგადასახადო აქტივები	7	-	742,575
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	6,860,202	8,600,918
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	55,183,815	20,441,516
სულ მიმდინარე აქტივები		111,627,646	74,045,930
სულ აქტივები		162,338,532	129,067,226
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	20,981,300	20,981,300
გაუნაწილებელი მოგება		106,144,633	69,864,644
სულ აქტივები		127,125,933	90,845,944
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	11,569,398	17,719,629
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11,569,398	17,719,629
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	16,470,830	13,966,061
საგადასახადო ვალდებულებები	7	1,132,787	-
მიღებული სესხები	11	6,039,584	6,535,592
სულ მიმდინარე ვალდებულებები		23,643,201	20,501,653
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		162,338,532	129,067,226

დანართი 3

შპს „ჯეოსთილი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგრამდე		36,279,989	9,347,046
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5	5,660,978	5,626,631
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ხარჯი	8	375,275	690,862
გრძელვადიანი აქტივების გასვლით მიღებული ზარალი	5	-	7,886
საპროცენტო შემოსავალი		(2,098,239)	(713,504)
საპროცენტო ხარჯი	11	1,290,930	1,739,694
წმინდა (მოგება) ზარალი საკუროს სხვაობიდან		(1,459,765)	3,901,093
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე		40,049,168	20,599,708
შემცირება (გაზრდა) შემდეგ საოპერაციო აქტივებში:			
ზარალები		(5,322,708)	2,475,304
დებიტორული დავალიანება		1,260,552	(604,778)
საგადასახადო აქტივები		1,875,362	1,764,743
შემცირება (გაზრდა) შემდეგ საოპერაციო ვალდებულებებში:			
მომწოდებლებისადმი არსებული ვალდებულებები		2,218,860	(5,579,612)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები პროექტებამდე		40,081,234	18,655,365
გადახდილი პროცენტი		(1,665,094)	(1,559,413)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		38,416,140	17,095,952
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	5	(1,330,843)	(1,468,066)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	5	(19,725)	(6,284)
მიღებული პროცენტები		2,098,239	713,504
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული (გასული) წმინდა ფულადი სახსრები		747,671	(760,846)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
გადახდილი სესხები		(5,676,707)	(27,466,141)
ფინანსური საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები		(5,676,707)	(27,466,141)
გაზრდილი (შემცირებული) წმინდა ფულადი სახსრები		33,487,104	(11,131,035)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	9	20,441,516	31,117,200
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე		1,255,195	455,351
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	9	55,183,815	20,441,516

დანართი 4

მარაგები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
არმატურა	18,274,130	11,620,403
ნახევრად მზა პროდუქტი - ნამზადი	1,275,904	12,591,221
ჯართი	13,378,204	10,809,547
ელექტროდები	5,060,442	761,712
ნედლეული და მარაგი ნაწილები	7,976,044	6,976,861
სხვა	3,618,905	1,501,177
სულ მარაგები	49,583,629	44,260,921

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
სავაჭრო მოთხოვნები	5,582,190	8,100,289
გაუფასურების რეზერვი	(860,097)	(590,947)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	4,722,093	7,509,342
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2,960,468	1,807,810
გაუფასურების რეზერვი	(822,359)	(716,234)
სულ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2,138,109	1,091,576
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,860,202	8,600,918

დანართი 5

საწარმოო და სხვა ხარჯები	31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016	
	(შ*)	(ლარი)	(შ*)	(ლარი)
<i>მოხმარებული მარაგი მასალა</i>				
ჯართის მოხმარება	165,553	70,901,083	113,617	37,888,576
ჯართის გადამუშავება	-	333,266	-	232,192
ფერო სილიკონი	372	1,015,271	281	654,184
სილიკონ მანგანეცი	1,052	2,903,353	653	1,117,184
ქვანახშირი	-	1,150,828	-	715,808
ელექტროდი	-	9,985,805	-	2,355,922
კირი	7,333	1,339,439	4,910	1,061,033
<i>სახელფასო ხარჯი:</i>		5,015,001		3,330,029
<i>სხვა პირდაპირი ხარჯები:</i>				
ნედლეული და მარაგი ნაწილები		8,955,648		8,152,925
საწვავის მოხმარება		4,835,451		3,406,972
მანქანა-დანადგარების ხარჯი		141,489		123,558
ელექტრო ენერჯის მოხმარება		13,748,667		9,866,714
ცვეთა		5,289,322		4,409,207
სულ საწარმოო და სხვა ხარჯები		125,614,623		73,314,304

დანართი 6

მიწოდების ხარჯები 2017 და 2016 წლებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2017	2016
ტრანსპორტირება და დისტრიბუცია	4,221,512	2,279,355
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	280,760	263,380
სულ	4,502,272	2,542,735

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2017 და 2016 წლებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2017	2016
ადმინისტრაციული თანამშრომლების ხელფასები და სხვა ხარჯები	7,392,016	4,660,051
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები	1,267,125	574,505
უიმედო ვალების ხარჯი	375,275	690,862
ცვეთის ხარჯი	303,967	192,850
მიმდინარე რემონტის ხარჯი	262,994	225,048
მივლინების ხარჯი	250,479	149,552
მანქანა-დანადგარების მიმდინარე, შეკეთების და დაზღვევის ხარჯი	187,529	122,731
კომუნალური ხარჯი	167,254	98,455
საკომუნიკაციო ხარჯი	83,206	68,165
არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი	67,689	82,861
საგადასახადო ხარჯი	55,753	81,657
საბანკო ხარჯი	28,017	28,876
წარმომადგენლობითი ხარჯი	23,079	13,985
ოფისის ხარჯი	9,148	12,861
სხვა	240,326	190,716
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10,713,857	7,193,175

დანართი 7

შპს „ჯეოსთილი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	20,981,300	69,864,644	90,845,944
წლის წმინდა მოგება	-	36,279,989	36,279,989
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	20,981,300	106,144,633	127,125,933
ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში - ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“	-	(469,618)	(469,618)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს, სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შემდეგ	20,981,300	105,675,015	126,656,315
წლის წმინდა მოგება	-	25,801,093	25,801,093
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	20,981,300	131,476,108	152,457,408

დანართი 8

შპს „ჯეოსთილი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		25,801,093	36,279,989
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5	6,469,426	5,660,978
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ხარჯი	8	685,433	375,275
გრძელვადიანი აქტივების გასვლით მიღებული ზარალი	5	5,039	-
საპროცენტო შემოსავალი	9	(1,280,778)	(2,098,239)
საპროცენტო ხარჯი	11	905,222	1,290,930
წმინდა მოგება საკურსო სხვაობიდან		(306,996)	(1,459,765)
		32,278,439	40,049,168
(ზრდა) კლება საოპერაციო აქტივებში:			
მარაგები		(29,983,825)	(5,322,708)
დებიტორული დავალიანება		(2,750,959)	1,260,552
საგადასახადო აქტივები		(1,540,115)	1,875,362
ზრდა (კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:			
მომწოდებლებისადმი არსებული ვალდებულებები		(2,055,796)	2,218,860
		(4,052,256)	40,081,234
გადახდილი პროცენტი		(1,055,321)	(1,665,094)
<i>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული (გასული) წმინდა ფულადი სახსრები</i>		(5,107,577)	38,416,140
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ბირითადი საშუალებების შესყიდვა	5	(7,169,470)	(1,330,843)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	5	(32,537)	(19,725)
მიღებული პროცენტები	9	1,280,778	2,098,239
<i>საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული (გასული) წმინდა ფულადი სახსრები</i>		(5,921,229)	747,671
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
მიღებული სესხები		14,500,000	-
გადახდილი სესხები		(24,583,333)	(5,676,707)
<i>ფინანსური საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები</i>		(10,083,333)	(5,676,707)
გაზრდილი (შემცირებული) წმინდა ფულადი სახსრები		(21,112,139)	33,487,104
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	9	55,183,815	20,441,516
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		550,030	1,255,195
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	9	34,621,706	55,183,815

მიწოდების ხარჯები 2018 და 2017 წლებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2018	2017
ტრანსპორტირება და დისტრიბუცია	1,949,775	4,221,512
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	474,975	280,760
	2,424,750	4,502,272

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 და 2017 წლებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2018	2017
ადმინისტრაციული თანამშრომლების ხელფასები და სხვა ხარჯები	5,493,398	7,392,016
უიმედო ვალების ხარჯი	685,435	375,275
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები*	456,525	1,267,125
ცვეთის ხარჯი	394,740	303,967
მიმდინარე რემონტის ხარჯი	326,132	262,994
მანქანა-დანადგარების მიმდინარე, შეკეთების და დაზღვევის ხარჯი	272,375	187,529
კომუნალური ხარჯი	192,002	167,254
მივლინების ხარჯი	174,230	250,479
საკომუნიკაციო ხარჯი	82,510	83,206
საგადასახადო ხარჯი	60,802	55,753
სამანკო ხარჯი	56,001	28,017
არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი	53,765	67,689
წარმომადგენლობითი ხარჯი	34,834	23,079
ოფისის ხარჯი	12,415	9,148
სხვა	397,674	240,326
	8,692,838	10,713,857